MES 8 20 0000716106

21/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:17 სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (მე-2 საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: თამარ ტუფინაშვილი (1-ლი, მე-3, მე-4 საკითხებზე)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (1-ლი-მე-2 საკითხები)
სხდომის მდივანი: გიორგი თურქია (მე-3, მე-4 საკითხებზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის თავმჯდომარე;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე**- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;
9. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ნინო შიოშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
4	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვაჟა ვარდიძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ნინო ქათამაძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I
3	ლიანა გიორგაძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	გიორგი გორაძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ნათია გოცაძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის	რექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი	II

		საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“		
6	მაკო ჯაოშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	ვიცე-რექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	ნინო არჯევანიძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	II
8	ნათია გოგებაშვილი	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	საერთაშორისო ურთიერთობების კორდინატორი	II
9	გიორგი ჭანტურია	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კანცლერი	II
10	სოფო ვასაძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	სამეცნიერო კვლევების კორდინატორი	II
11	თეა ლორთქიფანიძე	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	კანცელარიის ხელმძღვანელი	II
12	ბელა მოსია	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	III- IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I- III
3	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
4	თორნიკე გურული	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

6	ნინო ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	გიგი გიოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ, ასევე, რიგ საკითხებზე სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა. ამავე ნორმის საფუძველზე, მე-3 და მე-4 საკითხებზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს - გიორგი თურქიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. 13
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დიმიტრი გეგენავამ
თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დოლიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 19 ივნისს და ეს იყო ერთ-ერთი პირველი ვიზიტი, რომელიც ჩატარდა ადგილზე, ამიტომ შედარებით უფრო სრულყოფილად მოხდა უნივერსიტეტის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ვიზიტი მიმდინარეობდა პოზიტიურ და კონსტრუქციულ გარემოში, ჩაატარეს ინტენრვიუები უნივერსიტეტისა და პროგრამის წარმომადგენლებთან.

ექსპერტის შეფასებით ძირითადი სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, II სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, რომელიც ეხება სწავლების მეთოდოლოგიას, ორგანიზებას, პროგრამის ათვისებასა და შეფასების ადეკვატურობას. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განისაზღვრა, რომ პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, ეკონომიკური ბლოკის გასაძლიერებლად საჭიროა სავალდებულო სტატუსით ეკონომიკური კომპონენტის კურსების დამატება, რომლებიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა „საჯარო ფინანსები“. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე ვინც ირიცხება წინაპირობად არ არის განსაზღვრული, რომ ჰქონდეს რაიმე სპეციალური განათლება ბაკალავრის დონეზე მიღებული, ამიტომაც საჭიროდ ჩათვალეს, რომ სავალდებულოა ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერება და გარკვეული კურსების დამატება, რომლებიც განისაზღვრება რამდენიმე კურსის წინაპირობად.

მეორე რეკომენდაციას რაც შეეხება, აკადემიური და მოწვეული პერსონალიც დაეთანხმა, რომ ერთ-ერთი კურსისათვის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, არის არასავალდებულო სტატუსით, მაგრამ რეალურად ეს კურსი შეადგენს საჯარო პოლიტიკას და პოლიტიკის ანალიზს შინაარსობრივად, ამიტომ ჩათვალეს თუნდაც, რომ არ შეცვლილიყო სათაური, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გადატანა სავალდებულო კურსებში, რადგანაც თვითონ კურიკულუმში არის სხვადასხვა დარგობრივი პოლიტიკები განხილული. თუმცა ამასთან დაკავშირებითაც ჰქონდათ რჩევა, რომ დამატებულიყო დარგობრივი პოლიტიკის კურსები, რადგან იქ იყო მხოლოდ ეკონომიკის პოლიტიკა და ასევე შესაძლებელია დაემატოს სხვა ტიპის დარგობრივი პოლიტიკები, რადგანაც პოლიტიკის ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანი ხდება საჯარო მოხელეებისათვის.

რეკომენდირებულია ასევე, კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განსაზღვრა, შესაძლებელია, რომ რომელიმე სასწავლო კურსი გადავიდეს არჩევით ნაწილში, რადგან დაახლოებით ერთი და იგივე თემებს ფარავენ და ორივე კურსის ყოფნა სავალდებულო კომპონენტად არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად.

ასევე რეკომენდაციად განისაზღვრა, კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ:

- კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ ძირითადი სახელმძღვანელოს (დენჰარდტის „საჯარო მართვა: მოქმედების კურსი“)

შესავსებად საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის ლიტერატურის დამატება: მაგალითად, Denhardt, Denhardt, Aristigueta, Rawlings, Managing Human Behaviour in Pyblic and Nonprofit Organizations, 2018; Morgan, Images of Organization, 2007; Powell, DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analysis, 2012 და სხვა, თუმცა ეს დამოკიდებულია ლექტორზე და აბსოლუტურად მისი თავისუფლებაა რას აირჩევს;

ასევე რეკომენდაციებად ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა:

- სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების ერთი სტილის გამოყენება: APA, Chicago ან სხვა (მაგალითისთვის, კურსები: „შედარებითი საჯარო მმართველობა“, „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“);
- პრაქტიკის ალტერნატიული კურსის, მაგ., სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის შეთავაზება;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. კერძოდ A, B და D;
- სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად, აკადემიური წერის კურსის გარდა, კვლევის მეთოდების კურსის განსაზღვრა, ამასთანავე შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ყველა სავალდებულო კურსი, რაც არის კურიკულუმით გაწერილი, რადგან სტუდენტი არ უნდა დაიშვებოდეს დაცვაზე, თუ მას არ აქვს გავლილი ყველა სავალდებულო კურსი და შესაბამისი კრედიტები მოგროვებული;
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთება და ფინალური თეორიული გამოცდის ჩანაცვლება დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომით, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისათვის სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.

ნინო ფარსადანიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის შემოწმებისას, ექსპერტები ყურადღებას აქცევენ პროგრამას ყველა კონტექსტში, მათ შორის განსაკუთრებით ძლიერ მხარეებთან მიმართებით. აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი თავის დროზე შეთანხმდა, რომ ამ პროგრამის განსაკუთრებით ძლიერი მხარეა მისი გუნდი, რომელიც განახორციელებს პროგრამას შესაბამისი აკადმიური და პრაქტიკული გამოცდილებით.

ექსპერტს ღრმად სწამს, რომ ამ პროგრამის გუნდს ძალიან კარგად შეუძლია ყველაფრის დაძლევა და ეს პროგრამა იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ამ დაწესებულებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი გორაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის, შეფასებასა და რეკომენდაციებისთვის.
პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ ჩაატარეს ბაზრის საფუძვლიანი კვლევა, შეხვდნენ დამსაქმებლებს. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს, მათ შორის მასაც აქვს საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე მართვის გამოცდილება, ასევე, მისი კოლეგა ლიანა გიორგაძე მოქმედი საჯარო მოხელეა და ამჟამადაც მაღალ პოზიციას იკავებს. მათ სცადეს, რომ მენეჯერის პოზიციიდან დაენახათ ის ხარვეზები რაც არსებობს და განესაზღვრათ როგორი კადრი სჭირდებოდათ საჯარო სამსახურში. ისინი ასევე აქტიურად

თანამშრომლობდნენ საჯარო სამსახურის ბიუროსთან, კურსის შემუშავების დროს და ასევე ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად წარმოადგინეს აღნიშნული პროგრამა და ეცადნენ, რომ კურსი ყოფილიყო მაქსიმალურად პრაქტიკაზე ორიენტირებული, რადგან საჯარო მოხელისთვის, რომელიც ამ კურსს გაივლის, საჯარო სამსახურში არსებული ამოცანები არ იყოს მისთვის უცხო. შესაბამისად სწორედ ამაზე იყვნენ ისინი ორიენტირებული პროგრამის შემუშავების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციები ორ ნაწილად დაყო, რეკომენდაციები: (1) რომელსაც ეთანხმებიან და (2) რომელსაც არ ეთანხმებიან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ეთანხმებიან მე-2 რეკომენდაციას. კურსის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, სავადებულო ბლოკში ყოფნას ეთანხმებიან და შესაბამისად, ასახავენ პროგრამაში. ასევე ეთანხმებიან მე-3 რეკომენდაციას, სადაც საუბარია, რომ კურსებს „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განესაზღვროს. მათი აზრით ეს ტექნიკური შეცდომაა, რადგან ბუნებრივადაც ასე უნდა ყოფილიყო და აისახება შესაბამისად დოკუმენტში, ასევე იზიარებენ მე-7 რეკომენდაციას, რომელიც დაკავშირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფასთან და სილაბუსში ეს ასეც არის და ცხრილში არ მოხდა მისი ტექნიკურად ასახვა და მომავალში აუცილებლად გასწორდება. ასევე, ეთანხმებიან მე-8 რეკომენდაციას, რომელიც დაკავშირებული იყო სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად აკადემიური წერის კურსის გარდა კვლევის მეთოდების განსაზღვრასთან და ეს ბუნებრივიცაა, რადგან აკადემიური წერის კურსთან ერთად კვლევის მეთოდებს უნდა ეფუძნებოდეს სამაგისტრო ნაშრომი და ესეც აისახება პროგრამაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ლიანა გიორგაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ მას პირველად აქვს შესაძლებლობა, რომ წარდგეს საბჭოს წინაშე, ეს მისთვის დიდი პატივია, ასევე მადლობას უხდის ექსპერტებს, რომლებმაც ძალიან საფუძვლიანად შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რაც ასახულია მათ რეკომენდაციებშიც და ინტერვიუებსაც ახასიათებს, როგორც საქმიან და საგნობრივ დისკუსიებს.

მისი თქმით პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეკონომიკური ბლოკის გაძლიერებას ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ პროგრამა ისე არის შედგენილი, რომ სავალდებულო საგნებში გაითვალისწინეს ყველა მიმართულების საგნები: სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და კვლევით კომპონენტები, რასაც ასაბუთებენ იმით, რომ აუცილებლად უნდა გაიაროს სტუდენტმა ეს კურსები და მიიღოს აუცილებელი/საბაზისო ცოდნა. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება ექსპერტს, რომ კონტიგენტი, რომელიც ამ პროგრამაზე ჩაირიცხება იქნება სრულიად „ჭრელი“/მრავალფეროვანი, რომლებისთვისაც სრულიად არ არის აუცილებელი ჰქონდეთ კონკრეტულ მიმართულებაში საწყისი/საბაკალავრო განათლება (მაგ., ეკონომიკის ან სამართლის მიმართულებით), ამდენად მათ სჭირდებათ შესავალი კურსები და გამარტივებული ფორმებით მიწოდება, საგანი „საჯარო ფინანსების მართვა“ სავალდებულო საგნად აქვთ გათვალისწინებული და ფიქრობენ, რომ სილაბუსის შინაარსიდან და იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომელიც სილაბუსის ავტორმა ააგო და რომელიც, ასევე, საჯარო მოხელეა სრულიად ფარავს იმ კომპონენტს, რომ სტუდენტმა აუცილებლად მიიღოს საბაზისო ცოდნა ფინანსებისა და ეკონომიკური კომპონენტიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩევითი საგნების შესახებ განმარტა, რომ სტუდენტებს სთავაზობენ ეკონომიკური ბლოკიდან არაერთ ძალიან საინტერესო საგნებს, რომლებსაც

სტუდენტები თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე აირჩევენ, მაგ., თუ მათ აქვთ ეკონომიკური განათლება ფინანსების განხრით მათ უკვე შეეძლებათ კონკრეტულ სფეროში გაიღრმავონ ეს ცოდნა. ფიქრობენ, რომ ამ ეტაპზე საგანი „საჯარო ფინანსების მართვა“ სრულად ფარავს და საკმარისია ეკონომიკურ ბლოკში.

ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლიც ეხება კონკრეტულ კურსთან „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ მიმართებაში ლიტერატურის დამატებას, განმარტა, რომ რეკომენდაციის მიღების შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაიარეს კონსულტაცია საგნის წამყვან ლექტორთან. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ეს რეკომენდავია თავისი არსით უფრო რჩევა იქნებოდა და აღინიშნა კიდეც, რომ უმეტესად საგნის ავტორის გადასაწყვეტია რომელ ლიტერატურას გამოიყენებს. ამასთან, დამატებით შესწავლის საფუძველზე, მიაჩნიათ, რომ მითითებული ლიტერატურა არის საკმარისი და კურსის მიზნებთან შესაბამისი, რამდენადაც ეს საგანი ძალიან პრაქტიკულ საგანს წარმოადგენს და ორიენტირებულია დარგში მიმდინარე უახლესი პროცესების განხილვაზე, რადგან ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში სიახლეს წარმოადგენს, ახლა მკვიდრდება და იღებს ქართული სინამდვილისთვის შესაბამის ფორმებს, ამდენად საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად მუშაობს ახალი რეკომენდაციებისა და ახალი მასალების შემუშავებაზე და ეს მუდმივად განახლებადი პროცესია. ასევე ლექტორიც, რომელიც ამავდროულად საჯარო სამსახურის ბიუროსაც წარმოადგენს, იყენებს უახლეს ქართულ გამოცემებსაც, მათ შორის 2018, 2019 წლების გამოცემებიც კი აქვს ლიტერატურურაში მითითებული, ასევე დენჰარტის სახელმძღვანელოს შედარებით ახალ ვერსიებს იყენებს და საგნის ავტორი ორიენტირებულია, რომ შედარებით ახალი, მათ შორის ქართული ლიტერატურაც გამოიყენოს. შესაბამისად მითითებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება ამ საგნის მიზნებს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს ლექტორის აკადემიური თავისუფლებას მიეკუთვნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რჩევა-რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ დამატებითი და დამხმარე ლიტერატურის ერთიანი სტილით გამოყენებასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვანია ზუსტი დიფერენცირება დამხმარე და ძირითად ლიტერატურას შორის და თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს ეს სილაბუსშიც, ხოლო რაც შეეხება ერთიან სტილს, ეს ფორმალური საკითხია და გავლენას არ ახდენს პროგრამის ხარისხსა და მიზნებზე. ამასაც რჩევად იღებენ და ამბობენ, რომ სამომავლოდ შესაძლებელია განიხილონ, თუმცა ამ ეტაპზე არ მიაჩნიათ გავლენის მომხდენ ფაქტორად.

რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, დაწესებულების წარმომადგენელი ამ საკითხთან მიმართებაში მკაფიო და პრინციპულ პოზიციას აფიქსირებს და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ როდესაც „საჯარო მმართველობის“ პროგრამაზე დაიწყეს მუშაობა, პირველ რიგში ეს ეფუძნებოდა დამსაქმებლების ძალიან დეტალურ გამოკითხვას (შეხვედრა ჰქონდათ არაერთ დამსაქმებელთან), მათი მთავარი რეკომენდატორი კი ამ პროცესში იყო საჯარო სამსახურის ბიურო. ასევე, ისინი ურთიერთობდნენ ყველა ტიპის დამსაქმებელთან (როგორც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ასევე ცენტრალური ხელისუფლების მმართველ ორგანოებთან, სამინისტროებთან თუ სსიპ-თან სადაც მოსალოდნელია კურსდამთავრებულების დასაქმება), აბსოლუტური უმრავლესობა ხაზს უსვამდა იმას, რომ საჭირო იყო მეტი პრაქტიკული უნარების შეძენა სტუდენტებისთვის. შესაბამისად აღნიშნული მათთვის იყო გარკვეული ინდიკატორი იმისათვის, რომ პრაქტიკული კომპონენტი ყოფილიყო ყველაზე ძლიერი ამ პროგრამაში და სტუდენტისთვის სავალდებულო ყოფილიყო თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იმას, რასაც სტუდენტი სწავლობს საწყის სემესტრებში და ამ სავალდებულო/არჩევითი საგნების ფარგლებში ეს მიღებული ცოდნა თავად უნდა გამოავლინოს ადგილზე, რეალურ სივრცეში. ამის გასაძლიერებლად მათ დაწესებულებებთან,

რომლებთანაც მოლაპარაკებები აწარმოეს (ამ ეტაპზე 4 მსხვილი დამსაქმებელი/პარტნიორი ჰყავთ, რომლებთანაც გააფორმეს მემორანდუმები) ეცადნენ პარტნიორობას, ისინი თანამშრომლობენ, როგორც სამინისტროებთან, ასევე სსიპ-ებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თავად საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან. მათთან მოლაპარაკებების დროს აქცენტს აკეთებდნენ თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარ პირობაზე, რომ მათ უნდა უზრუნველეყოთ სტუდენტებისთვის კურსის გავლის შესაძლებლობა, რასაც პოზიტიურად შეხვდნენ და შეთანხმდნენ. პროგრამა იმდენად კარგად არის აგებული და თავად პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, რომ კურსდამთავრებულმა საკუთარი წვლილი შეიტანოს საჯარო სამსახურის სისტემის განვითარებაში და ამას რეალურად პრაქტიკული უნარების განვითარების გარეშე ვერ შეძლებს. რაც შეეხება ორგანიზაციულ ნაწილსა და სტუდენტებისთვის ამ კურსის გავლის მოქნილობას, თითოეულ სტუდენტთან დაწესებულებას აპრობირებული პრაქტიკა აქვს. რადგან იზიარებენ იმ რეალობას, რომ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი შესაძლებელია დასაქმებული იყოს, შესაბამისად თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური სამუშაო გეგმა შედგება აუცილებლად, ამ პრაქტიკული კურსის გავლისთვის, ისე რომ მათ ხელი არ შეეშალოთ და სრულფასოვნად შეძლონ ამ პრაქტიკული კურსის გავლა, რადგან ეს კურსი არ გულისხმობს სრული დატვირთვით და ყოველდღიურად საჯარო დაწესებულებებში ყოფნას და ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია, მაგრამ დაწესებულება იდივიდუალური გეგმის, გრაფიკისა და აბსოლუტურად სტუდენტზე მორგებული სისტემით მისცემს მათ შესაძლებლობას და ყველანაირად დაუჭერს მხარს, რომ მან ეს პრაქტიკული კურსი გაიაროს. ამიტომ ამ რეკომენდაციასთან მიმართებაში დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ეს პრაქტიკული კურსი ამ შემთხვევაში უნდა იყოს უალტერნატივო, თვითონ შინაარსსა და ფორმასთან დაკავშირებით, ასევე დავალებების კონტექსტში იყო კვლევა და ამის წარმოდგენა და პრეზენტაცია შინაარსობრივად თანხმდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მაგრამ ეს კომუნიკაცია სტუდენტისა და საჯარო დაწესებულების არის ძალიან მნიშვნელოვანი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ეთანხმება გარკვეულ მოსაზებებს, მაგ., ლიტერატურასთან მიმართებით ეს შეიძლება ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია, აღინიშნა, რომ ნამდვილად პროფესიონალი და კარგი გუნდია და ძალიან დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. პრაქტიკის კომპონენტზე რისკის ქვეშ დგება სტუდენტი, როდესაც არ არსებობს სისტემა, სადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი გაივლის მასთან პრაქტიკას და გარკვეულწილად რისკის შემცველია. შესაძლებელია გაიზიარონ უნივერსიტეტის პოზიცია, მაგრამ სხვა უნივერსიტეტებთან დაკავშირებითაც აქვს ხოლმე ეს რეკომენდაცია, რომელსაც ლობირება შეუძლია გაუწიონ და დაეხმარონ უნივერსიტეტებს, რომ გარანტია ჰქონდეთ საჯარო სექტორიდან სტუდენტების პრაქტიკაზე წაყვანის, თორემ აბსოლუტურად ეთანხმება დაწესებულებას, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანიც კი არის პრაქტიკის გავლა საჯარო დაწესებულებაში, ხოლო თუ ეს არ არის კარგად მოწესრიგებული, შეიძლება ფორმალური ხასიათი მიიღოს და ესეთი გამოცდილებაც ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ ექსპერტის მოხსენებიდან ირკვეოდა პასუხი, მაგრამ მაინც აინტერესებს ერთ-ერთი რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ რა იგულისხმება იმაში, რომ დამატებით ლიტერატურა და ძირითადი ლიტერატურა ერთი სტილით იყოს მითითებული.

ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემულ რეკომენდაციში საუბარია არა იმაზე, რომ დამატებითი ლიტერატურა და ძირითადი ლიტერატურა იყოს ერთ სილაბუსში ერთი სტილით დაწერილი,

არამედ სხვადასხვა სილაბუსში გამოყენებულია ციტირებისა და ლიტერატურის მითითების სხვადასხვა სტილი. ხოლო ექსპერტთა რჩევა/შენიშვნა მოიაზრებს, რომ თუ დაწესებულებას აქვს მიღებული ერთი აკადემიური სტილი ლიტერატურის მითითებისა და ციტირების ლექტორებმაც ეს სტილი გამოიყენონ, ეს იქნება „APA“, „Chicago“ თუ სხვა, იმისთვის, რომ სტანდარტი იყოს დაცული. რა თქმა უნდა, დაწესებულების გადასაწყვეტია რომელ სტილს გამოიყენებს, თუმცა სტუდენტებისთვისაც მოსახერხებელი იქნება, რომ ერთიანი სტილით იყოს შედგენილი.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ისიც ამ რეკომენდაციას რჩევად აღიქვამდა. მისი აზრით სილაბუსის შემთხვევაში არც არსებობს ასეთი იმპერატიული წესი, რადგან საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებიც კი უშვებენ არარეფერირებად ნაწილში განსხვავებულ სტილს, თუმცა ეთანხმება იმ აზრს, რომ კარგია ამას უნივერსიტეტმა მიაქციოს ყურადღება, მაგრამ ეს რჩევა უფროა და ექსპერტის პრეზენტაციაშიც ეს ამოიკითხა, რადგან რეკომენდაცია არის უფრო ის რაც, პროგრამის განხორციელებას უქმნის საფრთხეს და მითუმეტეს ამ თვალსაზრისით ეს უფრო რჩევაა ვიდრე რეკომენდაცია.

დიმიტრი გეგენავამ, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნული პროგრამის თანახელმძღვანელმა განმარტავ, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნება, რადგან უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ერთიანი წესი, რომელშიც, როგორც პრაქტიკულად მითითებულია დამოწმების ტექნიკა, მაგ., სამართალსა და სოციალურ მეცნიერებების დარგებში ქართული სტილი, რაც არის წყაროთა დამოწმების სულხან-საბას უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილი, ეს არის ჰარვარდის სტილი აპრობირებული ქართულ სინამდვილეში, ამიტომ ამ მხრივ მას ესმის ექსპერტის სიფრთხილე და არწმუნებს, რომ პროგრამას ეს საფრთხეს ნამდვილად არ შეუქმნის.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეალურად მათი რეკომენდაციის მიზანი იყო, რომ უბრალოდ სტილისტურად ერთიანი ყოფილიყო სილაბუსები, ეს არ უნდა ყოფილიყო ისეთი რეკომენდაცია, რომელიც შესაძლოა განსაკუთრებულად სერიოზულად და მტკივნეულ საკითხად აღიქმებოდეს, რადგან ერთიანი სტილი, როგორც ასეთი ვიზუალურადაც და დოკუმენტებთან მუშაობის დროსაც ყველას გამოუცდია, რომ უფრო სასიამოვნო და ადვილად აღქმადია.
დიმიტრი გეგენავა განმარტავს, რომ ვერ დაეთანხმება, რადგან ქართულ სამართალში რა სტილიც მოქმედებს 2013 წლის ერთადერთი Bluebook-ია გამოცემული, რომლის თანაავტორიცაა.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამას კარგი გუნდი ჰყავს, რომელიც სათანადოდ ჩაატარებს სასწავლო პროცესს და მისი აზრით ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, მათ შორის არც საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ მადლობა გადაუხადა, როგორც დაწესებულებას საინტერესო/საჭირო პროგრამისთვის, ასევე ექსპერტებს საინტერესო მოსაზრებებისათვის. დაწესებულებას აძლევს რჩევას, რომ საგნის „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროინტეგრაცია“ მიზანი ევროატლანტიკური ორგანიზაციების შესახებ შედეგებშიც აქვთ ასახული, ამიტომ საბჭოს წევრმა ჩათვალა, რომ ეს საგანი ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისთვის და მიუთითა დაწესებულებას, რომ უმჯობესია დისციპლინას ერქვას „ევროინტეგრაცია და ასოცირების პროცესები“, რადგან ასოცირების პროცესი არის ზუსტად ევროინტეგრაციის ნაწილი და მათი სილაბუსის „კონტენტიც“ ზუსტად ისეა აგებული, რომ ჯერ მიდის ევროინტეგრაციული პროცესები და შემდეგ მოყვება ასოცირების ხელშეკრულება. აღნიშნული მისი პირადი, სუბიექტური, მოსაზრებაა, ამიტომ არ იცის რამდენად გაიზიარებს

ამას დაწესებულება, თუმცა მაინც აჟღერებს. აღნიშნულ პროგრამაზე სხვადასხვა მიმართულებებიდან იქნებიან სტუდენტები, რადგან ყველას აქვს აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარების უფლება და დაწესებულებას სთავაზობს გაითვალისწინონ ისიც, რომ გარდა ბევრი სხვა პროგრამისა, შესაძლებელია მივიდნენ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებიც და მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრს ძალიან მოსწონს და ძალიან დიდ პატივს სცემს ერთ-ერთ სახელმძღვანელოს სიფრთხილით ეკიდება მის სამაგისტრო პროგრამაზე ძირითად სახელმძღვანელოდ გამოყენებას. თუმცა ასევე დააამატა, რომ მითიტებულია სხვა ლიტერატურაც და ამაზე არ დავობს, ამბობს, რომ ისინი საბჭოს სხდომის განმავლობაში სხვა უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამასაც განიხილავდნენ, ამ და სხვა ბევრ პროგრამაში ეს სახელმძღვანელო არის წამყვან სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი, ამიტომ ამ მიმართლებით თუ გადაიხედება არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. ასევე შენიშვნა არ აქვს არც „კონტენტთან“ მიმართებაში, რადგან ძალიან კარგად არის ყველაფერი დალაგებული, მხოლოდ სახელწოდებასა და ლიტერატურასთან მიმართებაში არის გადასახედი ეს დისციპლინა.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ეს ღირებული და სასარგებლო რჩევაა, ამიტომ დაწესებულება არცერთის წინააღმდეგი არ იქნება, სახელწოდებასთან დაკავშირებით აუცილებლად იმსჯელებენ სილაბუსის ავტორთან ერთად, ლოგიკურად კი თვითონაც აბსოლუტურად ეთანხმება, რომ ასოცირების ხელშეკრულება ევროინტეგრაციის პროცესის ბოლო ნაწილია. რაც შეეხება სახელმძღვანელოს, აქ დაწესებულებამ აკადემიური პატიოსნების პრინციპი გამოიყენა და რადგან ქართულ ენაზე იყო ეს ლიტერატურა ამიტომ მიუთითა, თუმცა კურსის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება პრაქტიკულ დოკუმენტაციასა და ანგარიშებზე და არა ევროკავშირის სამართლებრივ საკითხებზე, ამიტომ ზემოთხსენებული სახელმძღვანელო მხოლოდ რამდენიმე ადგილასაა მითითებული და ამ საგნის ფარგლებში ფიქრობენ შექმნან ახალი სახელმძღვანელო ევროპის ფონდთან ერთად, რადგან აპროქსიმაციის საკითხები სხვა პროგრამებშიც აქვთ გათვალისწინებული და სამწუხაროდ ქართულად ჯერ ასეთი დამუშავებული არ არის და აუცილებლად მისაღებია. ასევე ეს არ არის ლიტერატურა, რომელზეც აგებულია მთელი კურსი. დიმიტრი გეგენავა აღნიშნავს, რომ ევროინტეგრაცია სავალდებულო საგანია და ეს საჯარო სამსახურის ბიუროს მოთხოვნა იყო, რადგან საჯარო მოხელეთა უმრავლესობას, რომლებსაც ისინი ამზადებენ სამწუხაროდ წარმოდგენაც კი არა აქვთ რა განსხვავებაა ევროკავშირს, ევროპასა და ევროსაბჭოს შორის და მითუმეტეს ასოცირების შეთანხმება საერთოდ არ იციან რა არის და რეალურად ამიტომ დაანახეს საჭიროება და სავალდებულოდ გაითვალისწინებაც სთხოვეს.

საბჭოს წევრმა მადლობა გადაუხადა დაწესებულებას, რომ გაითვალისწინეს საჯარო სამსახურის ბიუროს რჩევა. ისიც მხარს უჭერს და აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ ატარებდა ტრენინგებს ერთ-ერთი საჯარო სამსახურის მოხელეთათვის და დაახლოებით 90%-მა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან საჯარო სამსახურებში მუშაობენ და სწორედ მათი დღევანდელი საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს ასოცირების შეთანხმების კონკრეტულ მუხლებს, სამწუხაროდ არ ჰქონდათ წარმოდგენა ასოცირების შეთანხმების შესახებ, ამიტომ მოცემულ პროგრამას წარმატებას უსურვებს და ძალიან უხარია, რომ ამ კუთხით ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯი უკვე გადადგეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის ავტორი, რომელიც ამ საგანს კითხულობს თავად არის წლების განამავლობაში ამ თემასთან დაკავშირებით პრაქტიკაში ჩართული და საჯარო მოხელეებს ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ ასოცირების შეთანხმებასთან და მისგან გამომდინარე ვალდებულებებთან მუშაობა და ეს იყო ამოსავალი წერტილი იმისა, რომ ყველა საჯარო მოხელეს უნდა ესმოდეს რა პროცესში იმყოფება ქვეყანა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:42
დასრულების დრო: 15:10

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:
ა) რეკომენდირებულია პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, ეკონომიკური ბლოკის გასაძლიერებლად სავალდებულო სტატუსით ეკონომიკური კომპონენტის კურსების დამატება, რომლებიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა საჯარო ფინანსები.
ბ) რეკომენდირებულია კურსისათვის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, სავალდებლო სტატუსის მინიჭება;
გ) რეკომენდირებულია კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განსაზღვრა;
დ) რეკომენდირებულია კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“
ვ) რეკომენდირებულია პრაქტიკის ალტერნატიული კურსის - მაგალითად, სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის შეთავაზება;
ზ) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუვნელყოფა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. კერძოდ A, B და D;
ი) რეკომენდირებულია სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთება და ფინალური თეორიული გამოცდის ჩანაცვლება დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომით, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისათვის სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.
რჩევა
სასურველია, სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების ერთი სტილის გამოყენება.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27 ^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 4 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

2. მეორე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაციები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N67
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა თორნიკე გურულმა განმარტა, რომ მოცემული სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციაზე იყვნენ 2020 წლის 3 ივნისს, ჩაატარეს, როგორ „ონლაინ“, ასევე ადგილზე გასვლის შეხვედრები აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან, დაათვარიელეს მატრიალურ-ტექნიკური ბაზა და გააკეთეს მონაცემების ანალიზი და მადლობას უხდის დაწესებულებას, რადგან ყველა პირობა შეუქმნა ექსპერტთა ჯგუფს, რომ პროცესი სრულყოფილად წარსამართულიყო.

თორნიკე გურულმა ისაუბრა დაწესებულების ძლიერ მხარეებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ პერსონალი დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში, სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, კერძო სექტორსა და სწავლების მიმართულებით. იგი აღნიშნავს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ სასწავლო/საგანმანათლებლო პროცესი უხარვეზოდ წარიმართოს, რაც შეეხება ბიბლიოთეკის კომპონენტს, მასშიც ყველაფერი მოწესრიგებულია და ყველა ის ლიტერატურა მოიპოვება, რომელიც საჭიროა აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად. მისი თქმით თვალშისაცემი იყო აღნიშნული ჯგუფის მოტივაცია, რადგან უმაღლესმა სასწავლებელმა 2019 წლის დეკემბერში გაიარა ავტორიზაცია, ახალია და ჯერ სტუდენტები არ ჰყავთ, შესაბამისად არც კურსდამთავრებულები. მარტივად დასანახი იყო ის მოტივაცია, რომელიც რექტორს, პრორექტორს და თითოეულ ჩართულ მხარეს ჰქონდა ამ პროგრამის შემუშავების დროს, ასევე აღნიშნავს დამსაქმებელთა ჩართულობასაც, რადგან პროგრამა შექმნილია დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ძალიან ბევრ დამსაქმებელს და ისინი ერთხმად აღნიშნავდენენ, რომ ჩართულები იყვნენ პროცესში, რომელიც ეხებოდა ამ პროგრამის შემუშავებას.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

- სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამაზე შეთავაზებული იქნას სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას, რადგან ცალკეული მინიმალური თეორიები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა კურსში არ იძლევა სრულ სურათს საზოგადოებასთან ურთიერთობის იმ კლასიკური თეორიების შესახებ, რომლებიც სამაგისტრო დონეზე მნიშვნელოვანია, რომ ისწავლოს სტუდენტმა;
- გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები;
- ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კომპანიებში, რომლებშიც შემდეგში დაასაქმებენ ამ სტუდენტებს ერთ-ერთი დასაქმების მიმართულება შიდაკორპორაციული კომუნიკაცია შეიძლება იყოს, პრაქტიკიდან გამომდინარე და შესაბამისად მნიშნველოვანია შიდაკორპორაციული კომუნიკაციის კურსი დაემატოს აღნიშნულ პროგრამას;
- ექსპერტთა ჯგუფისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მარკეტინგის კურსის გაძლიერება ამ პროგრამაში, რადგან კვალიფიკაციის ჩარჩოდან გამომდინარე საზოგადოებასთან

ურთიერთობის მიმართულება/სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულება არის ბიზნეს ადმინისტრირების/მარკეტინგის ქუდის ქვეშ, შესაბამისად მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი კურსი უნდა იქნას დამატებული;

- სასწავლო პროგრამას უნდა გამოეყოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი;
- სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის 10. რაც ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა;
- სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგძობადობა;
- რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება, მაგ., Google-ს აქვს სრულიად უფასო სასწავლო პლატფორმა Digital Garage, რომელიც ამ სფეროში მომუშავეთათვის ძალიან მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება და აქვს ძალიან ბევრი სახვადასხვა მიმართულებები, რომლებიც ნელ-ნელა ვითარდება და ეს ისეთი პროფესიაა, რომელიც ყოველ დღიურად მოითხოვს ლიტერატურის განახლებას და „ონლაინ“ პლატფორმების ჩამატებას მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნ ას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები;
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდირებულია „სტატისტიკური კვლევების“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მიერ კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული ქვიზებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება;
- მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, რადგანა დღეს სტუდენტები არ ყავს უნივერსიტეტს, რთულია ისაუბრო გაცვლით პროგრამებზე და ა.შ. და მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმები, რომლებიც ჩვენი ვიზიტის დროს ჩანასახოვან პერიოდში იყო კიდევ უფრო გაძლიერდეს;
- ასევე აუცილებელია ისიც, რომ აფილირებული პროფესორების ნაცვლად აკადემიური პერსონალის დარგობრივი პროფესორებით გაზრდა მოხდეს, რადგან ჩართული პროფესორები მომიჯნავე სფეროდან არიან და მათი რეკომენდაციაა, სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში მომუშავე პროფესორების აფილირება მოხდეს და დარგობრივი პროფესორებით გაიზარდოს აღნიშნული პროგრამა;

საერთო ჯამში ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ პროგრამა არის ძალიან მოთხოვნადი ბაზარზე და ის გუნდი, რომელიც ამ პროგრამას განახორციელებს პროგრამის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის. ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, სტატისტიკური კვლევები, რომლებიც კვლევით უნარებზეა გათვლილი უნდა იყოს ძირითად, სავალდებულო სასწავლო კურსებში, ახლა კი არჩევით სასწავლო კურსებშია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს დროის დათმობისთვის და გამოთქვამს სურვილს, რომ პასუხი გასცეს თითოეულ რეკომენდაციას და როგორც რექტორმა დააფიქსიროს დაწესებულების პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არის ახალი უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულებამ 2019 წელს გაიარა ავტორიზაცია, რომელიც ახლა იწყებს საგანმანათლებლო საქმიანობას. თითოეულ საბჭოს წევრს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნულ სფეროში და კარგად მოეხსენებათ, ახალი უნივერსიტეტისთვის ძალიან თვისობრივია პროგრამის შედგენაც, პერსონალის მოზიდვაც და ყველა იმ მოთხოვნილი აქტივობების დაგეგმვაც, რომელიც სტანდარტების მიხედვით არის მნიშვნელოვანი. დაწესებულებას იმთავითვე, ავტორიზაციის პროცესში ჰქონდა გავლილი არაერთი კონსულტაცია და ვინაიდან არ არსებობს სხვა სტანდარტი ახალი უნივერსიტეეტისთვის, რომელიც ახორციელეებს ახალ პროგრამას, მთელი ეს პროცესი მათ წარმართეს იმ სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის, რომელიც უკვე არსებულ მრავლწლიანი გამოცდილების მქონე დაწესებულებებისთვის იქნა შედგენილი. ავტორიზაციის პროცესში აღნიშნულს წარმატებით გაართვეს თავი და ძალიან მაღალი შეფასება მიიღეს, როგორც საერთაშორისო ექსპერტისგან, ასევე ადგილობრივი ექსპერტებისგან და სწორედ ამ მიდგომით გააგრძელეს აკრედიტაციის პროცესზე მუშაობა.

ნათი გოცაძემ განმარტა, რომ მოცემულ მომენტში, პროგრამაზე მუშაობის პროცესი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ისინი მთლიანად ორიენტირებულნი არიან დემინგის ციკლის განვითარებაზე და პროგრამის შედგენა იყო სწორედ ის პირველი საფეხური, დაგეგმვის პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა იმ მრავალწლიან გამოცდილებას, რომელიც მათ გუნდს აქვს. თუ საბჭოს წევრები გაეცნობოდნენ მათი სტრატეგიული განვითარების გეგმას/მისიას/ხედვას იქ ცალსახად არის მინიშნებული, რომ დაწესებულება ორიენტირებულია საკომუნიკაციო გარემოს გაუმჯობესებაზე და ამას მოწმობს მისი მრავალწლიანი გამოცდილება, რადგან ალტერბრიჯის დამფუძნებელი ორგანიზაცია PR აკადემია მერვე წელია ბაზარზე ამ მიმართულებით პოზიციონირებს. ამ ციკლის პირველი ეტაპი გულისხმობდა სწორედ იმას, რომ მათ ჩართული ჰყავდათ დამსაქმებელი ორგანიზაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მუშაობს ბოლო პერიოდში, თვითონ იყო ის, ვინც ქმნიდა საჯარო სექტორის კომუნიკაციის პოტენციალის კვლევებს და სწორედ მის მიერ არის შემუშავებული ის სასწავლო კურსები, რომელსაც I, II, III, IV რანგის საჯარო მოხელეები პროფესიული გადამზადების კუთხით კომუნიკაციის მიმართულებით სავალდებულოდ გაივლიან. აღნიშნული იყო ძალიან მაშტაბური კვლევები და მათ ეს კვლევაც და მისი შედეგებიც ასახეს პროგრამის შედგენისას.

გარდა ამისა, მათ ჩაატარეს არაერთი კვლევა სტუდენტებსა და ორგანიზაციაში, საბჭოს წევრებს აქვთ საშუალება გაეცნონ კვლევის დოკუმენტს, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე, სადაც სრულად არის მოცემული, როგორც დარგობრივი საზოგადოებასთან ურთიერთობის და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართლებით, ასევე ბაზრის მოთხოვნები იმ „სოფთ სქილებთან“ მიმართებაში, რასაც კომუნიკაციის დისციპლინა გულისხმობს. სწორედ ეს აკუმულირებული გამოცდილება, რომელიც მათ ჯერ კიდევ 7 წლიანი პრაქტიკული სწავლებით დააგროვეს და ბოლო წლებში უკვე კვლევების მიმართულებითაც გააძლიერეს იქნა გამოყენებული იმისთვის, რომ შეექმნათ პროგრამა, რომელიც საბჭოს წინაშე განსახილველად არის წარდგენილი.

მისი თქმით პროგრამის შედგენის შემდეგი ეტაპი ციკლის მიხედვით არის შეფასება და ანალიზი, ანუ როგორ იმუშავებს ეს ყველაფერი, თუ გაითვალისწინებენ, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. ისინი სწორედ ამ გამოწვევის წინაშე დგანან, როგორც კი პროგრამა დაიწყებს მუშაობას მხოლოდ მაშინ შეეძლებათ რეალურად შეაფასონ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მათ მიერ წინასწარაა განსაზღვრული, გეგმაში უკვე ასახული განვითარების მიმართულებებით და მოახდინონ ადაფტირება იმ შედეგების შეფასებაზე, რომელსაც ახორციელებენ სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომია ხარისხის მართვისა და შეფასების მექანიზმები, რომლითაც დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავენ მუდმივად იყვნონ პროცესის განვითარებაში ჩართულნი, სწორედ ეს წარმოადგენდა ამ რეკომენდაციების მიზეზს და აღნიშნა კიდეც ექსპერტმა რჩევების სახით, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტრატეგიული განვითარების 7 წლიან, 3 წლიან და 1 წლიან გეგმაში მათ აპრიორი წინასწარ აქვთ განსაზღვრული და გათვალისწინებული, როგორც ინტერნაციონალიზაციის მიმართებით გაფართოვება, ასევე აფილირებული და აკადემიური პერსონალის მოზიდვა და გაძლიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ერთ-ერთი პროიორიტეტი არის და უნდა იყოს სასწავლო პროცესის მართვის უზრუნველყოფა, პროგრამის განვითარება, ეს ყველაფერი კი აღწერილია მათ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, რაც შეეხება კონკრეტულ შინაარსობრივ მხარეს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან და რადგანაც ეს პროგრამა ეფუძნება 7 წლიან პრაქტიკულ გამოცდილებას და ბოლო 2016 წლიდან კონკრეტული კვლევების მიხედვით გამოტანილ დასკვნებს, მოცემულ მომენტში ის სასწავლო კურსები და სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია საუკეთესო პრაქტიკული მაგალითიდან გამომდინარეობს, ამას კი ადასტურებს მათი საერთაშორისო პარტნიორი დარგის სპეციალისტების შეფასებებიც.

რაც შეეხება კონკრეტულ რეკომენდაციებს სასწავლო კურსებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს სასწავლო კურსები სრულყოფილად არის ინტეგრირებული იმ სასწავლო პროგრამაში, რომელიც წარმოდგენილია. როგორც ამ დარგის სპეციალისტი და ბევრი წლის განმავლობაში ამ დარგში მომუშავე, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მისი გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით, როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო სექტორსა და კვლევით სექტორში აძლევს იმის უფლებას, რომ დაამტკიცოს და გაუზიაროს საბჭოს წარმომადგენლებს ის მოსაზრება რას ნიშნავს კლასიკური თეორიები და რატომ არის სრულად დასაკმაყოფილებელი ის ფაქტორი, რომ დღეს 3 სასწავლო კურსი აღწერს, შეასწავლის და აცნობს მაგისტრანტს ყველა იმ კლასიკურ თეორიას, რომელსაც საზოგადოებრივი ურთიერთობები მოიაზრებს. თანამედროვე ტენდენციით ეს კლასიკური თეორიები ცდება გამყარებულ მიდგომას და პირდაპირ უკავშირდება კომუნიკაციის დისციპლინას. მისი აზრით აღნიშნული სასწავლო კურსი „ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი“ სრულად მოიცავს ყველა იმ თეორიის ახსნას, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაცია მართოს იმგვარად, რომ ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და შეცვალოს მომხმარებლის ქცევა. სილაბუსიდან ჩანს, რომ ყველა ის ფსიქოლოგიური კომპონენტი, ძირეული ისტორიული თუ თვისობრივი მასალა არის გამოყენებული იმისთვის, რომ მაგისტრანტებს ჰქონდეთ ამ მიმართულებით სრულყოფილი ცოდნა. ასევე, საგანი „ვიზუალური სტრატეგია PR-ში“ გულისხმობს ისტორიულ, კლასიკურ განვითარებას. ცნობილია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა არის შედარებით ახალი დისციპლინა, რომელიც უკვე აღიარებულია, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის დისციპლინა. თუ დაწესებულება მის ისტორიაზე გააკეთებს აქცენტს ცალსახად მიდიან საჯარო მმართველობის განვითარების ისტორიასთან, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენელმა თავის სადოქტორო თემაში ძალიან ბევრი რამ აღმოაჩინა, როგორ ხდებოდა ამ პროცესის კვლადაკვალ PR-ის განვითარება, ასევე ღონისძიებათა მართვის, ვიზუალური სტრატეგიებისა და ფილოსოფიის, ცივილიზაციის განვითარება და ასე შემდეგ, ამიტომ მათ ეს ყველაფერი შეკრეს და მაგისტრანტების ფოკუსირებას ახდენენ იმ დარგისკენ, რომელიც უნდა ისწავლონ. მისი თქმით, რეკომენდაცია იყო, ასევე მედია კომუნიკაციაზე და აღნიშნავს, რომ უშუალოდ მედია კომუნიკაციის თემა განხილულია 4 დარგობრივ კურსში და ამასთანავე მედია კომუნიკაცია ცალკე არჩევით საგნადაც ჩადეს. მაგ., პრეს-ცენტრში მუშაობა, მაგრამ კომუნიკაციის სტრატეგია, ადამიანი, რომელმაც საკომუნიკაციო სტრატეგია უნდა განსაზღვროს მედია

კომუნიკაციას, როგორც ინსტრუმენტს ასე უნდა ფლობდეს, ყველა იმ მიმართებასთან დაკავშირებით, რომელიც სჭირდება მას სტრატეგიის დასაგეგმად, ამიტომ დაწესებულებამ მედია კომუნიკაცია ჩადო ყველა იმ კურსში, რომელიც მოითხოვს მედიასთან კომუნიკაციას და 4 ასეთ კურსში არის ინტეგრირებული.

რაც შეეხება ციფრულ კომუნიკაციასა და PR-ის „დიჯიტალიზაციას“, 8 სასწავლო კურსი სრულად ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებს, რომ უნდა იყოს ციფრულ ტექნოლოგიებთან თანხვედრაში, ეს საკითხი, არხები, კვლევა, სოც. ქცევა ციფრულ კომუნიკაციაში, საკომუნიკაციო გზავნილები და ზოგადად სტრატეგიული კომუნიკაციის აგება ისე, რომ შეიქმნას „ონლაინ“ რეპუტაცია, კომუნიკაცია, სწორი მესიჯები, მომხმარებლის ქცევა. განსხვავება ციფრულ ქცევისა და სტანდარტულ ქცევას შორის აღნიშნული პროგრამის მაგისტრანტებმა უნდა იცოდნენ სრულყოფილად. შიდაკორპორაციული კომუნიკაცია მათ პროგრამაში 5 დარგობრივ კურსშია და ის სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტისთვის არის ინსტრუმენტი, ამიტომ ცალკე მოცემულ ეტაპზე ამის საჭიროებას დაწესებულების წარმომადგენელი მისი გამოცდილებიდან გამომდინარე ვერ ხედავს, რადგან მრავალი წელია ამ სფეროს ასწავლის და ამ სფეროს განვითარებისთვის იღწვის და უშუალოდ მისი და მისი გუნდის უმეტესი ნაწილის საქმიანობა ამისკენაა მიმართული. აღნიშნული არ მიაჩნია მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვნად იმიტომ, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კონტექსტით არის წარმოდგენილი, როდესაც ორგანიზაციულ მართვაზე, სტრატეგიულ მართვაზე და სხვა მსგავს დარგებში აქვთ ინტეგრირებული შიდაკორპორაციული კომუნიკაცია. ასევე განმარტა, რომ მარკეტინგული კვლევები და ზოგადად მარკეტინგის მენეჯმენტი 7 დარგობრივ კურსშია მოცემული, ასევე დამატებული აქვთ არჩევითი საგნების ბლოკში საგანი „საერთაშორისო მარკეტინგი“, თუკი მათი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტები გადაწყვეტს, რომ მისი ადგილი არის მარკეტინგში მას შეუძლია არჩევითი საგანი დაამატოს და კიდევ უფრო გაიმყაროს და მარკეტინგი, როგორც ინსტრუმენტი მას სრულყოფილად ექნება შესწავლილი თავისი მარკეტინგული კვლევებით, ბაზრის კვლევით, მომხმარებლის ქცევით და ა.შ., რადგან 7 საგანი მოცემულ პროგრამაში ითვალისწინებს მარკეტინგის მოთხოვნებს, მომხმარებლის ქცევას და მთელი მარკეტინგული კომპლექსის იმ სისტემას, რომელსაც გულისხმობს სტრატეგიული მართვის კურსი და მთლიანად ორიენტირებულია ამაზე. აქედან გამომდინარე განმარტა, რომ ეს რეკომენდაციები არის იმიტომ, რომ მათ ჯერ სტუდენტებთან არ გამოუყენებიათ მთელი ეს პროცესი და ცოტა ჰიპოთეტური ხასიათის მატარებელია და პირდაპირ, რომ ითქვას მათ ერთ წლიან გეგმაში არის ინტეგრირებული პროგრამის განვითარება და ისინი მზად არიან ამისთვის.

აფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ მომენტში თითოეული აფილირებული პერსონალი, რომელიც მართავს ამ პროგრამას შერჩეულია დარგთან პრაქტიკული და აკადემიური კავშირით, თითოეული მათგანის მონაცემებზე გადახედვის შედეგად დგინდება, რომ თითოეულ მათგანს აქვს გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის ან სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით სამუშაო და ასევე აკადემიური სწავლების კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობას დაასახელოს 11 კვლევითი მიმდინარე პროექტი, რომელსაც დღეს მათი აფილირებული პერსონალი ახორციელებს და ამ თერთმეტივე პროექტში მათი მაგისტრანტების ჩართულობა არის დაგეგმილი, მათ შორის არის საერთაშორისო პოექტებიც, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული. უშუალოდ ნათია მოცემულ მომენტში ჩართულია საჯარო სექტორის საკომუნიკაციო პოტენციალის კვლევაში, რაშიც, რა თქმა უნდა, მაგისტრების ჩართვასაც გეგმავს. PR აკადემიის ბაზაზე USAID, გაერო და ა.შ. ეს არის ის პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთა დაკვეთითაც ხდება ამ კვლევების ჩატარება და ამას მათი აფილირებული პერსონალი ახორციელებს, ასევე აღნიშნავს იმ კვლევებს, რომელებიც წლების განმავლობაში მათ მიერ ხორციელდება და ეს არის საარჩევნო კომუნიკაციის ეფექტიანობის

კვლევა, ეს კითხვარი უკვე შედგენილია და გეგმავენ, რომ მაგისტრები საველე პროცესში უკვე პირდაპირ პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ ამ კვლევის პროცესში. ასევე დაწესებულების აფილირებული პერსონალის მიერ ჩატარებულია კვლევა, რომელიც რელიგიასა და პროპაგანდისტულ კომუნიკაციას ეხებოდა და ისიც საერთაშორისო, Oxford-თან არსებული კვლევითი ცენტრის მიერ დაფინანსებული კვლევაა და ამაშიც გეგმავენ სტუდენტების ჩართვას, რომელიც 2020-2022 წლებში უნდა განხორციელდეს.

დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, საბჭოს თითოეულ წევრს ჰქონია გამოცდილება რას ითხოვენ საერთაშორისო პარტნიორები, როდესაც უნივერსიტეტთან პარტნიორობის გადაწყვეტილებას იღებენ, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა გამოცდილება. ასევე აღინიშნა, რომ მოცემულ მომენტში ელოდებიან 120 მაგისტრანტს, (120 მაგისტრანტზე აქვთ განაცხადი გაკეთებული), მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტების შემთხვევაშიც თანაფარდობა აფილირებულ პროფესორსა და სტუდენტს შორის იქნება 1/20-თან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ყველასთვის კარგად ცნობილია რა ვითარებაა ბაზარზე, მათ შესწავლილი აქვთ ბაზარი და ეს არის საუკეთესო პრაქტიკა, როცა ერთი აფილირებულ პროფესორთან მიმართებით იგულისხმება 20 სტუდენტი, ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამაგისტრო დებულების თანახმად ისინი აბსოლუტურად თავისუფალნი არიან და აძლევენ სტუდენტს იმის საშუალებას, რომ ჰყავდეთ თანახელმღვანელი ან აირჩიონ ხელმძღვანელი ნებისმიერი მიმართულებით. უნივერსიტეტის პერსონალი ძალიან ბევრ მოწვეულ სპეციალისტს გულისხმობს, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით გააძლიერებს მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომს. ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ეჭვის შეტანა იმაში უნივერსიტეტი შეძლებს თუ არა სწორად წარმართოს სტუდენტების კვლევითი საქმიანობა, ნამდვილად არ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, დაწესებულების წარმომადგენელი ხაზს უსვამს იმას, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი კვლევითი ცენტრი, რომელიც აქტიურად მუშაობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებზე. ჯერ კიდევ ავტორიზებულ რეჟიმში მათ უკვე ჰქონდათ კომუნიკაცია დამყარებული და მიღებული ჰქონდათ თანხმობა რამდენიმე პროექტზე და ასევე ჩართულია მათი პერსონალი პარიზის უნივერსიტეტის პროექტშიც. აღნიშნული არის კვლევებისა და ინოვაციების ცენტრი, რომელიც ძალიან აქტიურად ეწევა სხვადასხვა მიმართულებით სოციალურ კვლევებს კონკრეტულად განათლებასთან მიმართებაშ. შემდეგ უკვე იგეგმება (რასაც მსოფლიო პანდემიამ ხელი შეუშალა) ამ კვლევის ჩატარება უკვე საქართველოშიც ალტერბრიჯის ბაზაზე, ასევე ამ კვლევის ფარგლებში დაგეგმილია მოცემული დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება იმ უნარ-ჩვევებში, რომელიც უშუალოდ კვლევას სჭირდება. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით განიმარტა, რომ უნივერისტეტს აქვს ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვის სტრატეგია და კვლევითი კომპონენტის განვითარებისთვის სახსრები ბიუჯეტში, მათ უკვე გამოყვეს. ჯერ კიდევ ავტორიზებულ რეჟიმში, ერთი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი გამოსცეს და დაიწყეს მომზადება მეორე ჟურნალის გამოშვებისთვის, იგეგმება და ჯერ კიდევ ავტორიზებულ რეჟიმში ჩატარდა ძალიან საინტერესო ფორუმი ტრანსფორმაციული განათლების პერსპექტივები, რომელშიც ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები. მათ შორის სტრატეგიული კომუნიკაციის კუთხით, მათი დახმარებით მისცეს რეკომენდაციები ახალგაზრდა დამწყებ „სტარტაფერებს“, როგორ უნდა დაგეგმონ სტრატეგიული კომუნიკაცია იმისათვის, რომ მოახდინონ ინტეგრირება ბაზარზე. ასევე, მეორე ფორუმი ახლა უკვე იგეგმება ძალიან აქტიურად, მუშაობენ ამაზე, რადგან უნდათ მოიზიდონ ყველა ის საერთაშორისო სპიკერი თუ ადამიანი, რომლებსაც ადევნებენ თვალყურს სოციალურ ქსელში და დაწესებულების წარმომადგენელს შეუძლია დაასახელოს გვარები

არაჩვეულებრივი სოციოლოგების და საჯარო ფიგურების, რომლებიც დღეს წარმოადგენენ გაეროს სპიკერებს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სპიკერებს. მაგალითად ერთ-ერთმა ცნობილმა ასეთმა პირმა მხარდაჭერის მიზნით განახორციელა ჩართვები, რომლებიც დაწესებულებამ შესთავაზა, ასევე მოლაპარაკებას აწარმოებენ შვედეთან და თანხმობა აქვთ შვედეთის საელჩოსგან, რომ მხარს დაუჭერს მათ ერთ-ერთ მიმართულებას, ასევე ამერიკის საელჩოსთან აქვთ სახელმძღვანელოების თარგმანის გრანტზე შეტანილი პროექტი, რომლის პასუხებსაც ელოდებიან და ასევე, ძალიან ბევრი პროექტი შეუძლია დასახელონ და ჩამოთვალონ რომელზე მუშაობაც დაწყებულია ავტორიზებულ რეჟიმში. ავტორიზებულ რეჟიმში დაწესებულების შესაძლებლობები გაფათოვდა და ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ თუ დინამიკას მიადევნებენ თვალს მიუხედავად პანდემიისა, ავტორიზაციის მიღების შემდეგ და დღემდე უნივერსიტეტმა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები დააკმაყოფილა. რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს, ის რომ მოცემულ მომენტში ყველა განცხადება, რასაც დაწესებულება სხდომის განმავლობაში აკეთებს კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებაში ასევე იქნება დაკმაყოფილებული, რადგან ესეც მათი პასუხისმგებლობაა და მისიაა, რაც თვითონვე დაისახეს მიზნად. შესაბამისად მთელი გამოცდილება, ის პროცესი, რომელიც გუნდმა, PR აკადემიამ, როგორც დამფუძნებელმა ორგანიზაციამ და დღეს ალტერბრიჯმა, როგორც ავტორიზებულმა უნივერსიტეტმა დააგროვა კვლევითი, პრაქტიკული და საერთაშორისო კონტაქტებით, არის ასახული ამ პროგრამაში.

ასევე აღინიშნა, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ კონფერენციაზე, რომელიც მაისისთვის იგეგმება და რა თქმა უნდა უნივერსიტეტებთან სჭირდებათ კომუნიკაცია ამ თემაზე, აღნიშული საკითხები ძალიან აქტუალურია, რადგან სტრატეგიული კომუნიკაციები ახალი გამოწვევების წინაშე დგას და დაწესებულებას სწორედ ამაზე უნდა აქცენტის გაკეთება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2016 წელს მიწვეული იყო პრაღაში, გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა მისი გამგზავრება, თუმცა კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო ექპერტები მუდმივად ზრუნავენ იმაზე, რომ ეს სფერო იყოს მეცნიერულ დონეზე შესწავლილი. ეს კონფერენციები, რომლებიც ეწყობა გულისხმობს იმას რამდენად სწორად უნდა იყოს გააზრებული რა ტიპის ფუნდამენტურ კვლევებს უნდა მიექცეს ყურადღება დარგის განვითარებისთვის. დაწესებულება მუდმივად ამაზეა ორიენტირებული და სამომავლოდ ასევე არის გათვალისწინებული მეცნიერების პოპულარიზაცია და გამოყენების კვლევები, ასევე ფიქრობენ მათი წვლილის შეტანას მთელ ამ პროცესში და რომ პროგრამა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტრატეგიული კომუნიკაციის განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენელი თავისუფალ კომპონენტთან მიმართებაში განმარტავს, რომ პროგრამის შედგენა მთლიანად ეფუძნებოდა დამსაქმებლის მოთხოვნებს, არსებულ პრაქტიკასა და მათ გამოცდილებას. შესაბამისად ძირითად სასწავლო კურსებად გამოიტანეს ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც სტრატეგიული კომუნიკაციის ქცევის, მარკენტინგული კვლევების თუ სხვადასხვა ტიპის კვლევებსა თუ ამ ტიპის საქმიანობაში არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამაზე გააკეთებს აქცენტს. პროგრამა 110 კრედიტით გადის საკვალიფიკაციო მოთხოვნაზე, რაც შეეხება თავისუფალ კომპონენტს მათი ლოგიკა იყო, რომ თავისუფალი კომპონენტი შეიმუშავეს ისე, რომ თუ მაგისტრანტი გადაწყვეტს პროფესიული პრაქტიკის გავლას, დაწესებულებას ჰყავს 35 პარნიორი ორგანიზაცია, მათ შორის არის დამსაქმებელთა ასოციაცია, რომელსაც 300 პარტნიორი ჰყავს და Clipart, რომელიც 234 მედია საშუალებასთან თანამშრომლობს, თუკი მათი მაგისტრანტი გადაწყვეტს, რომ კონკრეტული დასაქმების პერსპექტივისთვის მას სჭირდება ის დასაქმების არეალი და სფეროს შესწავლა მათი არჩევითი საგნები აძლევს ამის საშუალებას, რომ გაიღრმავოს ცოდნა მარკეტინგში, ბიზნესში,

მედიაში ცალკე, როგორც სფეროში და არა, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვაში. სტუდენტების მყისიერი ადაპტირებისთვის შეგნებულად გააკეთესს 15 კრედიტიანი პროფესიული პრაქტიკის კურსი, რადგან სტრატეგიული კომუნიკაცია არის პრაქტიკული, მულტიდისციპლინური პრაქტიკული საქმიანობა, რომელშიც შეუძლებელია მხოლოდ თეორიული მიდგომით მიიღონ ის შედეგი, რაც სურს დამსაქმებელს, რადგან მათი მთავარი ამოცანაა, რომ სტუდენტები სწავლების პროცესშივე იყვნენ რეალიზებულნი იმ კონკრეტული კომპეტენციით რა კომპეტენციასაც ანიჭებს მოცემული პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ 3.2 ქვესტანდარტი, რომელიც გულისხმობს, რომ მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, ექსპერტებს შეფასებული აქვთ, როგორც სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, მას აინტერესებს რამდენი მაგისტრის მიღებას გეგმავს დაწესებულება და ექსპერტები. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის განხორციელებასაც სჭირდება შესაბამისი კვლევითი გამოცდილება, აზუსტებს, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელს რაღაც გარკვეული კვლევითი გამოცდილება უნდა ჰქონდეს სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით და ექსპერტებს უსვამს კითხვას, რადგან 3.2 ქვესტანდარტი შეფასებული აქვთ სრულ შესაბამისობაში მოთხოვნასთან, ინტერესდება მათი აზრი როგორ ფიქრობენ რამდენად დააკმაყოფილებს დაწესებულების პერსონალი აღნიშნულ ქვესტანდარტს, გამომდინარე იქიდან, რომ რაც მან ნახა მოწვეული სპეციალისტების ძირითადი ნაწილი მაგისტრია და მაგისტრმა როგორ შეიძლება სამეცნიერო კვლევით კომპონენტს უხელმძღვანელოს, ანუ დგება საკითხი რამდენად არის ეს ქვესტანდარტი მართლა შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ გააგრძელა თამარ ტუფინაშვილის კითხვა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათი თქმით ელოდებიან 120 მაგისტრანტს და მათ მიერ წარმოდგენილ კონტიგენტში/სილაბუსებში ბევრი ნაცნობი სახელი და გვარი შეხვდა, მას აინტერესებს რამდენად შეძლებენ სხვა უნივერსიტეტებში მოღვაწე ლექტორები ალტერბრიჯში მოღვაწეობასაც და რამდენად ეყოფა დაწესებულებას რესურსი, რომ მართლა 120 სტუდენტი თუ მივა ხარისხიან პროდუქტს მიაწოდებენ და ასევე ჯგუფში რამდენ სტუდენტს მოიაზრებენ.

თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ მისი კითხვა გამოიწვია პერსონალის ჩამონათვალში ძირითადად მაგისტრის ან მასთან გათნაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირების წარმოდგენამ და დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშმა, რომელშიც გასაუმჯობესებელ მხარეებში ვერ ნახა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ აპირებენ აკადემიური/სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე კადრების მოძიებას, ან ზოგადად გეგმავენ გარკვეული პერიოდულობით აკადემიური პერსონალის კონკურსების გამოცხადებას, ანუ ზემოთხსენებულ კითხვას სვამს მაგისტრების დიდი რიცხვიდან და სამეცნიერო კვლევებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას განაცხადი შეტანილი აქვს 120 სტუდენტზე, ეს ციფრი კი განაპირობა იმ მოთხოვნამ, რაც კვლევის შედეგად მიიღეს, ამ სფეროსთან მიმართებაში დიდია მოთხოვნა და უშუალოდ PR აკადემიელებსაც აქვთ მზაობა, რომ მათი სამაგისტრო პროგრამით გაიმყარონ ის ცოდნა, რაც აქვთ, ამიტომ ამ განაცხადის დადგენა მოხდა ერთი მხრივ მოთხოვნიდან გამომდინარე და მეორე მხრივ იმ რესურსიდან, რომელიც დაწესებულებას აქვს.

მისი განმარტებით სამაგისტრო პროგრამის დებულებაში წერია, რომ მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად აირჩიოს ნებისმიერი პროფესორი, მათ შორის სხვა

უნივერსიტეტებიდანაც და მათ შორის საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან, ამ კუთხით დაწესებულება არის ღია იმისთვის, რომ მოწვეული ხელმძღვანელებით მოახდინოს გაძლიერება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. თუმცა მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის საკმაოდ დიდი რაოდენობა არის პროფესორების, რომლებიც ძალიან ღირებულ კვლევით საქმიანობაში არიან ჩართულნი. ნახსენები იყო აფილირებული პერსონალის გამოცდილება კვლევითი კომპონენტის მიმართ და ესმის საბჭოს წევრის პოზიცია და აბსოლუტურად იზიარებს მას, რადგან სამაგისტრო ნაშრომის მართვა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს უფრო მაღალი საფეხურის პერსონალის მიერ, აქედან გამომდინარე მათ სპეციალურად გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ახალი დაწესებულებისთვის ეს არის სამომავლო განვითარების გეგმა და ხაზს უსვამს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში მუდმივად არის პერსონალის მოზიდვასა და გაძლიერებაზე აქცენტი გაკეთებული. საბჭოს შეუძლია გადაამოწმოს, რომ 1-3-7 წლიან სტრატეგიულ გეგმაშიც კი მუდმივად დაგეგმილია პერსონალის მოძიება, მოცემულ მომენტში კი ექსპერტების ვიზიტიდან საბჭოს სხდომამდე უკვე გამოცხადებულ იქნა კონკურსი და 2 აფილირებული ლექტორი (დარგობრივი მიმართულებით) დაემატა მათ გუნდს. მისი თქმით ამ პროცესს აუცილებლად გააგრძელებენ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ისევ უნდა დაუბრუნდეს იმას, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მათი მაგისტრანტი არ არის შეზღუდული აირჩიოს ხელმძღვანელად გარე, მისთვის სასურველი და შესაბამისი კადრი, უნივერსიტეტი კი ამისთვის გამოთქვამს მზაობას, ამასთანავე გეგმავენ მოწვეული პერსონალის გაფართოებას, მაგ, ბატონი გ. ბ-ია ესწრება სხდომას, როგორც ალტერბრიჯის წარმომადგენელი და ფიქრობს, რომ ასეთი ადამიანების არსებობა ალტერბრიჯში იძლევა იმის საფუძველს, რომ სამეცნიერო მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდენენ.

თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ ბევრი აფილირებული პროფესორი კი ჰყავს დაწესებულებას, მაგრამ ესენი არ არიან დარგობრივი მიმართულებით. ნათია გოცაძის თქმით აფილირებული პროფესორები არიან დარგის მიმართულებით, მისი აზრით ქსაბჭოს წევრმა კარგად იცის, რომ ამ სფეროში კადრები დეფიციტურია. ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც თვითონ მუშაობდა სადოქტორო ნაშრომზე არ არსებობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სადოქტორო პროგრამა, მან დაამთავრა საჯარო მმართველობა, თუმცა მისი კვლევითი თემა იყო „საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი საჯარო მმართველობაში“, დაწესებულება გეგმავდა მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, მაგრამ მოცემულ მომენტში თითოეული მათი აფილირებული პროფესორი ჩართულია სამეცნიერო კვლევებში და მას შეუძლია ჩამოთვალოს რომელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ ისინი.

თამარ ტუფინაშვილმა სთხოვა ექსპერტებს, რომ გამოეთქვათ მათი აზრი თუ რამდენად იყო პროგრამა და თითოეული მაგისტრანტი უზრუნველყოფილი კვალიფიციური პერსონალით.

ექსპერტი, ნიკა გიგაური დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სამაგისტრო საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტი ამიტომ ჰქონდათ რამდენიმე რეკომენდაცია, პირველ რიგში რეკომენდაცია იყო, რომ სტატისტიკური კვლევების კურსი, რომელიც მოიცავს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის კურსს გამხდარიყო სავალდებულო და ამასთან სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა, ასევე ამ კურსში, რადგან ეს კურსი გადის ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობაზე, ფინალური გამოცდა, რომელიც ტარდება თეორიულად გამხდარიყო მცირე კვლევა, რადგან სამაგისტრო ნაშრომს სანამ დაწერენ სტუდენტები იქამდე ჰქონოდათ კვლევითი საქმიანობისთვის მზაობა. ასევე აკადემიური წერაც განსაზღვრულიყო წინაპირობად და ამაზე ჰქონდათ რეკომენდაციაც, რაც შეეხება საბჭოს წევრის კითხვას 120 სტუდენტისთვის რამდენად არის ის პერსონალი საკმარისი რაც ჰყავს დაწესებულებას, სწორედ ამ საკითხიდან გამომდინარე აქვთ რეკომენდაცია მეოთხე სტანდარტში, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომებისა და ხელმძღვანელების

ხვერდრით წილს. იქ არის ჩანაწრი, რომ გაზარდონ დარგის აფილირებული პროფესორები, სწორედ აქედან გამომდინარე ექსპერტებსაც ჰგონიათ, რომ 120 სტუდენტი ბევრია იმ პერსონალისთვის რაც ჰყავს დაწესებულებას, მაგრამ 3.2 სტანდარტი იმიტომ აქვთ სრულ შესაბამისობაში, რომ დებულებით განსაზღვრულია და ჯერ არ იციან პრაქტიკაში როგორ განახორციელდება და ისინი აფასებდნენ პროგრამას დოკუმენტურად, რაც შემოვიდა. მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ თანახელმძღვანელი მოიწვიონ და თანახელმძღვანელი ჰყავდეთ სხვა უნივერსიტეტებიდან თუ კველვითი ცენტრებიდან, სწორედ ამიტომ არის 3.2 სრულ შესაბამისობაში. ის რაც დოკუმენტურად წერია თეორიულად შესაძლებელია განხორციელდეს, მაგრამ ის, რომ აფილირებული პროფესორები 120 სტუდენტს უფრო მეტი დასჭირდება ფაქტია, სწორედ ამიტომ დაწერა ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია მეოთხე სტანდარტში.

ნათია გოცაძემ განმარტა, რომ აუცილებლად უნდა დაამატოს თანაფარდობაზე, მათ შესწავლილი აქვთ ბაზარი და პროგრამებში აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან, 1/20-თან თანაფარდობა გასაგებია, რომ ზოგადად 6 აფილირებული პერსონალი თავდაპირველად შეიძლება ცუდად ჩანს, მაგრამ ახალი უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს 1 სამაგისტრო პროგრამა და შეფარდება 1 აფილირებული პროფესორი იგულისხმება 20 სტუდენტზე, ფიქრობს აბსოლუტურად მისაღები ლოგიკაა უნივერისტეტის მხრიდან, მითუმეტეს რომ 2 აფილირებული უკვე დაიმატეს და სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე გეგმავენ კონკურსის გამოცხადებას და მოიზიდავენ იმ დარგის სპეციალისტებს, რომლებიც გააძლიერებენ მათ პროგრამას.
დიმიტრი გეგენავას აზრით კითხვა აფილირებულების რაოდენობას არ ეხებოდა, ეს აბსოლუტურად დაწესებულების განსასაზღვირია ვინაიდან აფილირებული პერსონალის რაოდენობასა და თანაფარდობას ადგენს უნივერსიტეტი, თავისი შიდა მოწყობის, კვლევის და სტუდენტების და მეტიც შესაძლებელია 100 სტუდენტზე 1 აფილირებულიც კი ჰყავდეს დაწესებულებას, გააჩნია პროგრამას, კითხვა გულისხმობდა არა აფილირებულ პროფესორთა რაოდენობას, არამედ მასთან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანლობასთან, ანუ აფილირებულებზე პასუხი არ არის საჭირო ამის დაზუსტება უნდოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პასუხი გასცა, რადგან სამაგისტრო დებულებით გათვალისწინებულია, როგორც თანახელმძღვანელის, ასევე ხელმძღვანელის მოწვევის შესაძლებლობაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მაგისტრანტები არ არიან შეზღუდულნი აირჩიონ შესაბამისი კომპეტენციის პროფესორები, ასევე, იგეგმება საშუალოდ 20 სტუდენტიანი ჯგუფების დაკომპლექტება.

გიორგი თურქიამ განმარტა, რომ პრობლემა არ არის 25-30 სტუდენტი, რომ იყოს, მაგრამ მისი რჩევა იქნება, რომ 120 ადამიანი პირველივე წელს არის საკმაოდ დიდი ტვირთი, რომ ხარისხი შეინარჩუნონ და იგივე „ბრენდინგის“ ლექტორი ა. ჩ-ი, აქტიური პიროვნებაა და ბევრ საქმიანობას ეწევა. სთხოვს დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოიდგინონ 4 პარალელური ჯგუფი რომ ჰყავდეთ, რამდენად შეძლებენ ამ ლექტორების დატვირთვას, რადგან ძნელია პირველ ეტაპზე 120 სტუდენტის ლექტორებით უზრუნველყოფა და იფიქრონ იმაზეც, რომ ცოტა ნაკლებით დაიწყონ და მერე უფრო შეძლებენ პარალელურად ლექტორებიც მოიძიონ, რადგან 4-6 ჯგუფის პარალელურ რეჟიმში წაყვანა ფაქტობრივად შეუძლებელია, გამოდის, რომ ლექტორი მთელი კვირა მათთან უნდა იყოს. ასე რთულია პროფესიონალი ადამიანები, რომლებიც თან პრაქტიკოსები არიან მთლიანად დაწესებულებაში იწყვნონ დაკავებულები. ეს იქნება მისი რჩევა, იფიქრონ ამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ჰკითხონ ლექტორს რა განწყობა აქვს, არის თუ არა მისთვის პრიორიტეტული, რომ იყოს ალტერბრიჯის პროგრამაში ჩართული. გიორგი თურქიამ განმარტა, რომ საუბარი ამ შემთხვევაში არაა განწყობაზე,

უბრალოდ ფიზიკურად დრო უნდა გამონახოს ამდენ ჯგუფში პროგრამის განხორციელებისთვის.

ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ ამ კუთხით ძალიან ბევრი აქვთ ნაფიქრი, რადგან თითოეული მათგანიც ანალოგიურად უდგება თავის საკითხს, რადგან პრაქტიკოსები არიან, აკადემიურ საქმიანობაშიც. გიორგი თურქიამ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში კვლავ დროის ფაქტორი რჩება პრობლემა, რამდენად ექნება ლექტორს შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაშიც, რომ სრულყოფილად იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში ამ ფორმატით. დაწესებულების წარმომადგენელი კვლავ აზუსტებს, რომ ამაზე ბევრი აქვთ ნაფიქრი და პრობლემა არ უნდა შეიქმნას.

საბჭოს წევრმა ნიკა თინიკაშვილმა კითხვა დაუსვა სტუდენტ-ექსპერტს და შემდეგ მოისურვა, რომ დაწესებულებამაც განმარტოს იგივე საკითხი, თან ითხოვს ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ ინტერვიუები ვერ შედგებოდა ვერც სტუდენტებთან, ვერც კურსდამთავრებეულებთან. საბჭოს წევრს აინტერესებს, როგორია დამსაქმებლების დამოკიდებულება იგივე კადრების მიწოდების რაოდენობის თვალსაზრისით, რა კატეგორიის დამსაქმებლები იყვნენ და როგორ მოხდება მაგისტრების განაწილება, ასევე აქვს კითხვა 3.1 ქვესტანდარტთან, მსჯელობისას ნახსენები იყო საერთაშორისო პერსონალის ჩართულობა და უცხოური გამოცდილების გაზიარება და ამ დროს 3.1 სტანდარტში არის რეკომენდაცია, რომელიც ეხება უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, მას აქვს სურვილი, რომ ამ საკითხებზე იმსჯელონ.

ექსპერტმა ნიკა გიგაურმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხება ზოგადად, როგორც საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ისე საერთაშორისო მობილობის განხორციელებას, საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობას, ამ და სხვა ბევრ თემას მოიცავს 3.1 ქვესტანადარტი და ამიტომ ამ შემთხვევაში არის მეტწილი შესაბამისობა და არა ნაწილობრივი, რადგან ვიზიტისას გამოითხოვეს დოკუმენტაცია, რომელმაც დაარწმუნა ექსპერტები, რომ უნივერსიტეტს უკვე დაწყებული აქვს თანამშრომლობა სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, თუ პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას, ისინი გეგმავენ გააფორმონ ისეთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებშიც გაიწერება უკვე გაცვლითი პროექტები, კონფერენციები და ა.შ. ამ კუთხით ინტერნაციონალიზაცია მოკლე პერიოდში დაიხვეწება და ამიტომ ეს სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისი და არა ნაწილობრივ შესაბამისი. წინა საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ რამდენიმე უნივერსიტეტთან ურთიერთობაში აქვთ წინსვლა, აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს აქვს ეს რეკომენდაცია, რომ ახალი სასწავლო უნივერსიტეტია, მაგრამ სამომავლო პერსპექტივაში აუცილებლად დასჭირდებათ ზრდა და განვითარება და მეტი ურთიერთთანამშრობლობის მემორანდუმის შექმნა. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს ყველაფერი იყო ჩანასახობრივ მდგომარეობაში და იმ დოკუმენტაციით, რაც მათ გამოითხოვეს უბრალოდ დარწმუნდნენ, რომ უახლოეს მომავალში ამას შეძლებდნენ და გააკეთებდნენ.

რაც შეეხება დამსაქმებლებს, შეხვდნენ, როგორც კერძო სექტორს, ასევე საჯარო სექტორსაც, ძალიან ბევრი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვთ, რამაც ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება ამ შემთხვევაში უფრო რეალისტურია და დარგი ზოგადად მოთხოვნადია, რაზეც დამსაქმებლებიც აკეთებენ აქცენტს, რომ სჭირდებათ სპეციალისტი, ასევე მეტწილად იცნობდნენ პროგრამას და ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კურსის დაგეგმვაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პროცესი უნდა განვითარდეს და მან ახსენა კიდეც, დანიის ორ უნივერსიტეტთან მიმდინარე

მოლაპარაკებები. როგორც კი პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას და მიიღებს პირველ სტუდენტებს დანიის 2 უნივერსიტეტი უკვე მზად არის თანამშრომლობისთვის. ამ კუთხით ინტერესის შემთხვევაში საბჭოს სთავაზობს ალტერბრიჯის საერთაშორისო ურთიერთობების წარმომადგენლის ჩართვას სხდომაზე. მისი თქმით ინტენსიური მოლაპარაკებები აქვთ სხვა უნივერსიტეტთანად, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ეს ყველაფერი არის თეორიული, რადგან ალტერბრიჯს არ ჰყავს სტუდენტები და ვერ ხერხდება სტუდენტების/პერსონალის ჩართვა გაცვლით პროექტებში და ის ფაქტი, რომ უნივერისტეტები გამოხატავენ მზაობას ჩართონ ალტერბრიჯი გაცვლით პროგრამებში (მათ შორის ერასმუსის პროექტებზეც არის საუბარი).

დაწესებულების წარმომადგენლებს დაწყებული აქვთ ეს პროცესი და არსებობს წინასწარი მზაობა, ასევე დამსაქმებლებზე უნდა ხაზი გაუსვას, რომ მათი დამსაქმებლების სპექტრი არის ძალიან ფართო და მან შეგნებულად ახსენა 35 მემორანდუმი და კონკრეტულად ის უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფს 300-მდე/500-მდე ობიექტთან მუშაობას, დარგი მოთხოვნადია, მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ ამაში და ეს დამსაქმებლებმაც იციან, თითოეული მათგანი გამოხატავს მზაობას, რომ სტუდენტებმა გაიარონ პრაქტიკული კომპონენტი, რომლის დროსაც უშუალოდ იქნებიან ჩართულნი მათ საქმიანობაში, რაც დაწესებულებას აძლევს იმის საფუძველს, რომ სწავლის პროცესშივე შეეძლებათ სრულად უზრუნველყონ, რომ მთელი თეორიული ცოდნა გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა იკითხა რა კონტიგენტის მიღებას აპირებს მთლიანად უნივერსიტეტი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მთლიანი კონტიგენტი მოცემული ავტორიზაციის პროცესში გათვლილია 400 სტუდენტზე. ამ ეტაპზე ისინი გეგმავენ სხვადასხვა მიმართულებით განვითარებასაც, რადგან ამ მომენტში მხოლოდ კომუნიკაციის მიმართულებით არის მათი პროგრამები, თუმცა სამომავლოდ, როცა დაიწყებენ მუშაობას, საკმაოდ კარგი და გრძელვადიანი მიზნები აქვთ.

ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ ესმის დაწესებულებას ძალიან დიდ სტიმულს აძლევს მათი წარმატებული საქმიანობა დამფუძნებელ ორგანიზაციაში, PR აკადემიაში, ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს მის წინა გამომსვლელებს, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩევს, რომ აუცილებლად გადახედონ 120 კვლევითი პროექტის ერთროულად გაკეთების შესაძლებლობას, არწმუნებს, რომ ადამიანები, რომლებიც მათთან სხვა ინსტიტუციებიდან არიან ჩართულები, სრულად, რომ განთავისუფლდნენ 120 კვლევის ერთდროულად დაძლევა მაინც გაუჭირდებათ, რადგან სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო ნაშრომი და ის ძალიან განსხვავდება თუნდაც PR აკადემიაში ჩატარებული კვლევებისგან.

ნათია გოცაძემ მადლობა გადაუხადა ნინო დობორჯგინიძეს და უპასუხა, რომ ესმის 120 პროექტის წარმოება გაუჭირდება იმ გუნდს, რომლითაც არის წარმოდგენილი, სწორედ ამიტომ მაგისტრატურის დებულებაში მითითებულია, რომ მათ მაგისტრანტების შეუძლიათ ხელმძღვანელად აირჩიონ ის კომპეტენტური ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფს მისი კვლევითი პოტენციალის სრულ წარმოჩინებას სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს.

ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ რთული გასაზიარებელია ეს, რადგან ცდება პროგრამის ფარგლებს, ასევე ამბობს, რომ 120 სრულფასოვანი კვლევის ჩატარება საერთოდ რთულია.

ნათია გოცაძემ განმარტა, რომ 120 სტუდენტზე აქვთ გაკეთებული განაცხადი, თუმცა საბჭოს წევრებს კარგად მოეხსენებათ, რომ აპრიორი, რადგან დაწესებულებას 120-ზე აქვს განაცხადი ამის მზაობასაც ადასტურებს და მას არ ესმის რა არის რთული წარმოსადგენი, მაგ., ქალბატონი

ნინო, რომ იყოს ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი თუ მისი მზაობაც იქნება რატომ ვერ უზრუნველყოფს ეს იმას, რომ კვლევითი კომპონენტი, რომელიც სტუდენტს სჭირდება და მას ამის შესაძლებლობა ექნება იყოს დაკმაყოფილებული.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ვერ უზრუნველყოფს, რადგან ეს არ არის კლასიკური „აუთსორსი", ეს არის კვლევითი კომპონენტი და ნაშრომის ხელმძღვანელობას სჭირდება აბსოლუტურად განსხვავებული ზედამხედველობა და მონიტორინგი, რომელიც აკრედიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი სტანდარტია, გავრცელებული პრაქტიკითა და საბჭოს ერთგვაროვანი პრაქტიკით გარედან მოყვანილი კადრის ხელმძღვანელობა, რომელსაც ფაქტობრივად ანგარიშვალდებულებაც კი არ აქვს უნივერსიტეტის მიმართ აკრედიტაციის პროცესში და ზოგადად კვლევის განხორციელების პროცესში, ზოგადად ეს წარმატებული მოდელი ნამდვილად არ არის, თუმცა ეს დაწესებულების გადასაწყვეტია რამდენად გამოცდიან ამას პრაქტიკაში.

ნათია გოცაძემ განმარტა, რომ ესმის დიმიტრი გეგენავას პოზიცია, რომ მოცემულ მომენტში ეს შეიძლება არ იყოს წარმატებული პრაქტიკა, რადგან პრაქტიკაც ძალიან ახალია, თუმცა საერთაშორისო ინსტიტუციების მიდგომის გადახედვით, დგინდება, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ეს პრაქტიკა უკვე აპრობირებული და დანერგილია ევროპის უნივერსიტეტებში და ძალიან წარმატებით მუშაობს, ამიტომ მას იმედი აქვს, რომ რაღაც წლების შემდეგ აქაც ასე იქნება. ეს მათ შემთხვევაში არის მზაობა, ისინი ამით, რა თქმა უნდა არ ამბობენ, რომ არსებული რესურსით არ არის შესაძლებელი სამაგისტრო კვლევის გაკეთება, უბრალოდ ეს არის დამატებითი რესურსი და ასევე კიდევ ერთხელ აფიქსირებს იმას, რომ სწავლების პროცესის დაწყებისთანავე უნივერიტეტის სტრატეგიულ გეგმაშიც და ერთ წლიან გეგმაშიც იგეგმება პერსონალის გაზრდა და მოზიდვა. კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს ახალი უნივერსიტეტისთვის ძალიან რთული გამოწვევა იყო და მათ ეს გამოწვევა ავტორიზაციის პროცესში მიიღეს და გაიაზრეს, დღეს კი ისევ ამ გამოწვევის პროცესში არიან, ძალიან რთულია დასაქმებული პერსონალი, რომელსაც აქვს თეორიული ანუ აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება ჯერ კიდევ არა ავტორიზებული უნივერიტეტისთვის აკეთებდეს სასწავლო კურსს და მზაობას აცხადებდეს, რომ იქნება აფილირებული, საჭიროა მისი ნდობის მოპოვება და დაწესებულების წარმომადგენელი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მათ ეს ნდობა გამოუცხადა და სწორედ ამ ნდობის გამართლებისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ შეძლონ ამ გუნდის გაძლიერება.

თამარ ტუფინაშვილმა რჩევის სახით გამოთქვა მოსაზრება, რომ კონსულტაცია გაიარონ ცენტრთან, Master in public relations or Master of public relations დაკავშირებით, ასევე ურჩევს, რომ როდესაც ნახა სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, სადაც წერია, რომ შეფასება ერთჯერადია, მაგრამ მაინც დაყოფილია რეცენზენტი აფასებს 40 ქულის ფარგლებში, დარგობრივი კომისია - 60 ქულის ფარგლებში, კარგი იქნება თუ ზოგადად დარგობრივი კომისია შეაფასებს 100 ქულის ფარგლებში, არამარტო შინაარსობრივ მხარეს, არამედ კომუნიკაციის უნარსა და სამაგისტრო ნაშრომსაც და მისი რჩევაა გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასება და კიდევ „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა" ამ შედეგსაც დახვეწავდა, რადგან აქ არ არის მარტო ის რომ კორექტულად, მიუკეძოებლად დასაბუთებაზე და პროფესულ ეთიკაზე გავიდეს, მეშვიდე დონით კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მაგისტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სხვების საქმიანობაზე პროექტების დაგეგმვით, კვლევის განხორციელებით და ა.შ. კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება ამ შედეგსაც დააკორექტირებდა.

ნათია გოცაძემ მადლობა გადაუხადა თამარ ტუფინაშვილს და აღნიშნა, რომ კონკრეტულად ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას მათ არაერთი კონსულტაცია გაიარეს ცენტრთან ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრიც კარგად არის გარკვეული ამ პროცესში და იცის, რომ

ძალიან რთული გასასვლელია ამ შედეგზე, ამიტომ ყველა იმ საგანში, რომელშიც ჩადებულია (არ არის ასეთი ბევრი საგანი) სასწავლო კურსზე გადახედვით, სწორედაც, რომ ის კომპონენტები იკვეთება, მაგ.; მისი საგანი გადის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, რადგან ყველა ის თეორიული/პრაქტიკული სამუშაო, რომლითაც მთელი კურსია აგებული გულისხმობს იმას, რომ მაგისტრანტმა შემდეგ უკვე ღირებულებათა დონეზე გაიაზროს ის, რასაც ისწავლის და ეს უქმნის მას სწორედ დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას. თუმცა აბსოლუტურად ეთანხმება იმაში, რომ ზოგადად ყველაზე რთულად მისაღწევი შედეგია, ამასთანავე რთულად გასაზომიც.

თამარ ტუფინაშვილი დაეთანხმა, რომ ყველაზე რთულად გასაწერი შედეგია, ამიტომაც შესთავაზა ცენტრისს რეკომენდაცია ამის თაობაზე, რომ თუ ვერ ხერხდება, მაშინ შეიძლება, რომ საერთოდ უნარები გაზიარდეს და საერთოდ არ გაიწეროს, მაგრამ ეს რჩევა გამოთქვა, რადგან დაწესებულებას ჰქონდა დაწერილი ეს უნარი. უბრალოდ, მისი რჩევაა, რომ გადახედონ და ცოტა სხვანაირი ფორმულირებით მოახდინონ მისი ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ იგივე აზრზე რჩება, რომელზეც წინა პროგრამასთან დაკავშირებით იყო, რომ ზოგადად ინსტიტუციისა და დაწესებულების მიმართ კეთილგანწყობილია და მხარს უჭერს მათ წინასაქმიანობას და იმედი ჰქონდა, რომ ეს ყველაზე კარგი პროგრამა იქნებოდა, თუმცა დაწესებულებას აქვს ბევრი სამუშაო. იგი იზიარებს და ეთანხმება ექსპერტებს პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით მიცემულ რეკომენდაციებში, თუმცა მას კიდევ აქვს თავისი მოსაზრება პროგრამის კურიკულუმთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს კურსებს „მარკეტინგი“ და „სამართალი“ რომლების სტურქტურა და შინაარსი გადასახედია და აუცილებლად ასატანია სტატისტიკური კვლევები, თუმცა არა ამ ფორმით, რაც არის. „სტატისტიკური კვლევები“, ალბათ, დასახელება უნდა შეიცვალოს და იყოს „კვლევის მეთოდები მარკეტინგში“, რომლის ერთ ერთი კომპონენტი იქნება სტატისტიკური კვლევები. მთლიანობაში არასწორი „ბენჩმარკინგია“ გაკეთებული, რათა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი კლასიფიკატორის მეექვსე მუხლთან მოვიდნენ სრულ შესაბამისობაში.

მისი პოზიციის მეორე ნაწილი ეხება აკადემიურ პერსონალს და ეხმაურება საბჭოს წევრების მიერ გაცხადებულ რამდენიმე რეკომენდაციას, მათ შორის, იმას რომ გასაზრდელია რაოდენობა, შინაარსობრივად მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დასაახლოვებელია კვლევები და კვლევის მიმართულებები. ცალსახად 120 სტუდენტს ვერ მოემსახურება აღნიშნული აკადემიური პერსონალი. დარგის შესაბამისი კვლევის გამოცდილება სამაგისტრო ხელმძღვანელისთვის აუცილებელია, რადგან 3.2 ქვესტანდარტი იყოს შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ნათია გოცაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს და დაეთანხმა, რომ სამუშაო რა თქმა უნდა, ბევრია და დაწესებულება მზად არის ამ მიმართულებით, თუმცა არ ეთანხმება კურსებთან დაკავშირებით, მათ შორის მარკეტინგულ კვლევებთან დაკავშირებითაც, რადგან 4 კურსი სრულად შეისწავლის მარკეტინგულ კვლევებს, ასევე, სამწუხაროდ ვერ ეთანხმება იმაში, რომ მათი აკადემიური პერსონალი ვერ უზრუნველყოფს და არ აქვს გამოცდილება აკადემიურ სწავლებაში, პირიქით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ, მათ არ ჰყავთ არჩეული მხოლოდ ტრენერები. თუმცა თუ დღეს თანამედროვე მიდგომის გავითვალისწინებით ტრენერობა ნიშნავს იმას, რომ მათ შეეძლოთ გააერთიანონ აკადემიური და პრაქტიკული ცოდნა და მოახდინონ მისი მიწოდება ისე, რომ ანდრაგოგიკის მეთოდების გამოყენებით შეძლონ ქცევა-ცოდნის პრაქტიკაში ინტეგრირება, ამიტომ ფიქრობს, რომ ეს გამოცდილება, რაც მათ

აქვთ ამ მიმართულებაში, არის საუკეთესო გამოცდილება იმისათვის, რომ აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რასაც განათლების რეფორმა ითხოვს, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება იქნას შესაძლებელი.
გიორგი ბაღათურიამ განმარტა, რომ სხდომაზე რამდენჯერმე ახენეს საგანი „კვლევის მეთოდები“, რომლის წამყვანი პროფესორი თვითონ არის და ამ საგანს სხვა უნივერსიტეტშიც ასაწავლის, იყო 2 რჩევა/პრეტენზია: 1. რომ ყოფილიყო არჩევით ბლოკიდან გადატანილი სავალდებულოში და 2. რომ კარგი იქნებოდა გამოცდა ყოფილიყო საკურსო პროექტის შესრულების სახით და არა თეორიული გამოცდა. ორივე მათგანი სამართლიანი მიდგომაა, შეიძლება ასეც გაკეთდეს, რაც არ არის ცუდი, მას ასეც აქვს ხოლმე გაკეთებული. რაც შეეხება სტრატეგიული კომუნიკაციების თვალსაზრისით ეს საგანი გათვალისწინებულია III სემესტრში, ხოლო IV სემესტრში სტუდენტებმა უნდა დაიცვან სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი ფაქტობრივად პირველივე კურსიდან ირჩევს, ამის გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი, მართალია ძალიან ჩაღრმავებულად არა მაგრამ მეტ-ნაკლებად მესამე სემესტრში უკვე ძალიან ახლოს არის მისული და თუ მესამე სემეტრში ექნებათ პროექტის გამოცდა, მაშინ ეს ნაწილობრივ იქნება სამაგისტრო ნაშრომის გამეორება, ხოლო მათ კი ჩაფიქრებული აქვთ, რომ თეორიული მასალა, მაგ., პირველ ლექციას იწყებენ კვლევების კლასიფიკაციით და სტუდენტებთან აქვთ სასემინარო სამუშაო და პრაქტიკული მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსში ლექტორს ყოველ კვირას აქვს ჩადებული დავალებები, ამაზე დაწესებულებას არ გაუცია პასუხი და ამიტომ მადლობას იხდის ამ თემის წამოწევისთვის. ლექტორი ყოველი კვირა მუშაობს ჯგუფურ სამუშაოებზე, სადაც თეორიული მასალა, მაგ., თვისობრივი კვლევის მეთოდები კონკრეტულ ჯგუფურ სამუშაოში არის უკვე მცირე პროექტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ეს საგანი ეხმარება მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში და თეორიული მიდგომა იმიტომაც არის საინტერესო, რომ თუ ადამიანს დაავალებენ რაღაც პროექტს, მან შეიძლება აირჩიოს ერთი მიმართულებით, ამ საგანში კი არის მრავალი მიმართულება, რომელიც სასურველია, რომ სტუდენტმა იცოდეს, მათ შორის თვიობრივი, რაოდენობრივი და რაც უფრო მნიშვნელოვანია ჰიპოთეზების შემოწმება, რომელსაც, როგორც ჩანს ძალიან იშვიათად ახერხებენ მაგისტრები. მას კი უნდა, რომ სტუდენტებმა ეს მეთოდებიც იცოდნენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:53

საბჭომ მიიჩნია, რომ პროგრამაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ინსტიტუციიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, კერძოდ საბჭოს წევრების მოსაზრებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ, ექსპრტებმა და ცენტრის წარმომადგენელმა, რომელიც ჯგუფს ახლდა ვიზიტზე განმარტონ დამატებით თუ კონკრეტულად რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება შეძლეს ექსპერტებმა ვიზიტის დროს. ამასთან, საჭირო იყო, რომ დაწესებულებას საბჭოსთვის წარედგინა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის მომდევნო სხდომისთვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „სტრატეგიული კომუნიკაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

დიმიტრი გეგენავამ და ნიკა თიკანაშვილმა დატოვეს სხდომა. სხდომის თავმჯდომარედ აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი, ხოლო სხდომის მდივნად - გიორგი თურქია.
სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ირმა წერეთელი.

3. მესამე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 24 ივლისის N80 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას ქ. N14
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დოლიძე მიესალმა ყველას და განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა 19 მაისს და მთლიანი ვიზიტი იყო „ონლან“ ფორმატში. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ექსპერტთა ჯგუფზე, თუმცა ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვარიელება, ექსპერტებმა შეისწავლეს მათზე მიწოდებული დოკუმენტაცია და გარდა ამისა ძალიან მწვავე საკითხი იყო როგორ განახორციელა დაწესებულებამ „ონლან“ სწავლებაზე გადასვლა COVID-19-ის პირობებში და ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი სხვა თემაც წამოიწია, გააქტიურდა, რომელიც შეიძლება დასახელებულიყო, როგორც საუკეთესო პრაქტიკა დაწესებულების მხრიდან.

მისი თქმით, რაც შეეხება სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას, II სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, დანარჩენ სტანდარებში არის სრული შესაბამისობა მოთხოვნებთან, თუმცა პირველი სტანდარტის ერთ-ერთი ქვესტანდარტი (1.2) არის მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან, ეს ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და რატომ, აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი ხარისხის სამსახური, დეტალურად დამუშავებული დოკუმენტაციით, რომელიც შიდასაუნივერსიტეტო პოლიტიკით ხელმძღვანელობს და ასე ფუნქციონირებს, თუმცა კონკრეტულად პროგრამასთან მიმართებაში გარკვეული რეკომენდაციები ჰქონდათ, თუ როგორ შეიძლება უკეთ გამოიყენონ ის მონაცემები, რასაც ხარისიხის სამსახური იღებს პროგრამასთან დაკავშირებით და შემდეგ როგორ შეიძლება მათი დამუშავება.
პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

- უმაღლესი დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტების საერთო პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების სამიზნე ნიშნულისა, რომელიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის, თუმცა ხარისხის სამსახური აკვირდება პროგრამის გაუმჯობესებას;
- კონკრეტული საგნის ფარგლებში აკადემიური შეფასების და ქულათა გადანაწილების სტატისტიკური ანალიზი ლექტორის სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით, ამის გამო ამ ქვესტანდარტმა მიიღო მეტწილად შესაბამისობა მოთხოვნებთან;
- კონკრეტულ სილაბუსებში („სამოხელეო სამართალი“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „საქართველოს კონსტიტუტციური სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“) - საკითხების ჩაშლა, ლექციაზე მიწოდებული მასალის რაოდენობის შემცირების მიზნებისათვის;
- კურსის „საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა“ ფარგლებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა და კურსის პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდეს ქართული რეალობის, საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარე მოვლენების ამსახველი მასალით;
- სასურველია, რომ კურსის „სამოხელეო სამართალი“ - სავალდებულო სასწავლო მასალებს დაემატოს ანა ფირცხალაშვილის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები და საქართველოს მთავრობის

2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებით მიღებული „პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის" შესაბამისად დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები;

- სასურველია, რომ კურსის „შესავალი სამართალმცოდნეობაში" - ძირითადი ლიტერატურის ნაწილში განსაკუთრებით იმ თემებთან დაკავშირებით, სადაც მითითება კეთდება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაზე, გამოყენებულ იქნას ასევე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიც მაგალითად: მაგ. პ. მალანჩუკი - აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ან ლ. ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი;
- „აკადემიური წერა" - სასურველია, რომ აღნიშნული კურსის ფინალური შეფასება, წერითი გამოცდის ნაცვლად განხორციელდეს აკადემიური ნაშრომის კომპონენტით, კერძოდ ან რეფერატით ან სამეცნიერო სტატიით;
- უცხო ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მიზნებთან დაახლოება;
- გადაიხედოს დემოკრატიისა და მოქალაქეობის სასწავლო კურსის წინაპირობა და ასეთად განისაზღვროს კონსტიტუციური სამართალი და შესაბამისად მე-3 სემესტრის ნაცვლად აღნიშნული კურსი შეთავაზებულ იქნას მე-4 სემესტრში;
- „საერთაშორისო ორგანიზაციების" სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს „საერთაშორისო საჯარო სამართალი", და „ევროკავშირის სამართლის" წინაპირობად „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი" ამის შესაბამისად სასურველია რომ შეიცვალოს საგნების სემესტრული განაწილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთ სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსების გადაწყობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ნინო დოლიძის განმარტებით ძირითადად ეს იყო მათი რეკომენდაციები და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სწორედ ამ უნივერისიტეტთან დაკავშირებით იყო პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებაში საუკეთესო პრაქტიკა გამოვლენილი და ამას უნდა ხაზი გაუსვას, რადგან ეს საკითხი დადგა ადრე სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის უნივერსიტეტი არის რეგიონისათვის საკვანძო ინსტიტუცია, რომელსაც ურთიერთობა აქვს, როგორც თვითმმართველობასთან, ასევე რეგიონში არსებულ ბიზნესთან და მათთვის სტუდენტების დაკმაყოფილება პრაქტიკით არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მუნიციპალიტეტთან ძალიან ახლო კონტაქტი აქვთ. ძალიან ბევრი ჩართული იყო მუნიციპალიტეტიდან და სპეციალური პროგრამაც კი არის შემუშავებული მუნიციპალიტეტის ინიციატივით, რომლითაც ხდება სტუდენტების პრაქტიკაზე დასაქმება. მათ ასევე აქვთ ალტერნატივა - სოციალური პროექტი, სტუდენტებს შეუძლიათ მათ რეგიონში/რაიონში, მითუმეტეს იძულებით გადაადგილებული პირები არიან ბევრი, მათთვის სოციალური კომპონენტის მქონე პროექტის განხორციელება, რაც ასევე ეთვლებათ, როგორც პროფესიული პრაქტიკა.

ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ასევე ძალიან პოზიტიურ/დადებით მაგალითად მიაჩნიეს ის, რომ მისი პროგრამები უფრო და უფრო პოპულარული ხდება აფხაზ სტუდენტებს შორის, რაც ასევე ეხმიანება ქვეყნის პოლიტიკას ოკუპირებულ რეგიონებთან უფრო აქტიური ურთიერთობებისა და ხალხთაშორისი დაახლოების მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ანა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ რიგი მადლობას უხდის ექსპერტებს, მიწოდებული იდეებით, რომ განავითარონ პროგრამა. საჯარო მმართველობა განსაკუთრებით განვითარებადია და რა თქმა უნდა აპირებენ, რომ განაგრძონ განვითარება, დაწესებულება ზოგიერთ რეკომენდაციას ეთანხმება, ზოგიერთს ნაწილობრივ ეთანხმება და ზოგიერთს არ

ეთანხმება. დაწესებულების წარმომადგენელიამასთან დაკავშირებით წარმოადგენს მის მოსაზრებას. პირველ რიგში არ ეთანხმებიან რეკომენდაციას, რომ დემოკრატიისა და მოქალაქეობის კურსს უნდა ჰქონდეს წინაპირობა, რადგან ყველა საგნამანათლებლო პროგრამაში მიეწოდება ეს კურსი, რომელიც USAID-ის თანადაფინანსებითა და დახმარებით იქნა სახელმძღვანელო შედგენილი. ამიტომ საქართველოს მასშტაბით ყველგან ისწავლება, მიუხედავად იმისა კონსტიტუციურ სამართალს სწავლობენ თუ არ სწავლობენ სტუდენტები და მიუხედავად იმისა რა ფაკულტეტზე სწავლობენ, რადგან ეს არის ზოგადი კურსი, რომელიც მოქალაქეობასა და დემოკრატიაზე ზოგად წარმოდგენას უქმნის სტუდენტს. ამიტომ ფიქრობენ, რომ კონსტიტუციური სამართლის წინაპირობად არსებობა არაა საჭირო, როგორც მათთან ზუგდიდის უნვიერსიტეტში, ასევე ზოგადად არსად და ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა, ამიტომ ქალბატონი ანას, როგორც კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტის და ამ კუთხით მომუშავის შთაბეჭდილება არის ასეთი, რომ ეს კურსი პირიქით კონსტიტუციური სამართლის უკეთ შესაწავლას უწყობს ხელს და არ სჭირდება, რომ წინაპირობად ჰქონდეს სკონსტიტუციური სამართალი.

დაწესებულება იზიარებს მეორე რეკომენდაციას, რომ „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ იყოს ევროკავშირის სამართლის წინაპირობა. დაწესებულება არ ეთანხმება მესამე რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც კონკრეტულ სილაბუსებში („სამოხელეო სამართალი“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „საქართველოს კონსტიტუტციური სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“) - საკითხები უნდა ჩაიშალოს, ლექციაზე მიწოდებული მასალის რაოდენობის შემცირების მიზნებისათვის.

ნინო დოლიძემ დააზუსტა, რომ უფრო მეტად უნდა ჩაშალონ, რომ ლექციის ფარგლებში შემცირდეს დატვირთვა არა შემცირებული ლიტერატურის, არამედ შემცირებული მოცულობის ხარჯზე, რომ აღსაქმელად ძალიან დიდი რაოდენობის მასალა ერთდორულად არ მიეწოდოს სტუდენტს. ექსპერტმა დააზუსტა, რომ პროგრამის სტუდენტები არ არიან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, უფრო სხვა პროფილის სტუდენტები არიან, რომელთაც ზოგადი ცოდნა სჭირდებათ იურისპუდენციაშიც.

ანა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ერთი მაგალითიც რომ ამოიღონ კონსტიტუციური სამართლის პრინციპებიდან, წყაროები შეიძლება კონსტიტუციური სამართლის ცნება მოცემული ჰქონდეთ ერთ ლექციაში, აქ კი არ არის საუბარი იმაზე, რომ სიღრმისეულად ყველა პრინციპი და ყველა წყარო ასწავლონ სტუდენტს, საუბარია იმაზე, რომ, როგორც მაგისტრატურის კურსი ითვალისწინებს, რომ თეორიული/საწყისი ცოდნა მისცენ სტუდენტებს. შესაბამისად, კონსტიტუციური სამართლის პრინციპებზე ცოტა მაინც, რომ არ ისაუბრონ შეუძლებელია სტუდნეტმა სამოხელეო სამართალი გაიგოს, რომც ჩაიწეროს ერთი პრინციპი ან მხოლოდ პრინციპები, აქ მთავარია ლექტორი როგორ გაშლის თემას და რა მოცულობით მიაწოდებს და არა იმაზე რამდენი იქნება აღნიშნული სილაბუსში. საუბარია სილაბუსის შედგენის ტექნიკაზე, მათ მხოლოდ ისეთი საკითხები აქვთ სილაბუსში, რომ რომელიმეს ამოღებით შედეგზე ვერ გავლენ. შესაბამისად თვლიან, რომ აღნიშნული უცვლელად უნდა დარჩეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე არ ეთანხმებიან რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც კურსს „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ სავალდებულო სასწავლო ლიტერატურაში დაემატოს კ. კორკელიას სახელმძღვანელო „საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში“, ეს წიგნი გახლავთ 1998 წელს გამოცემული, სამწუხაროა, რომ მასზე უკეთესი წიგნი ჯერ კიდევ არ არის გამოცემული, თუმცა 98 წლის წიგნი 22 წლისაა და ამის შემდეგ სახელმწიფო ძალიან სწრაფად ვითარდება, შესაბამისად არსებობს ძალიან ბევრი ცვლილება, მაგ., შეიცვალა რატიფიცირების წესი და

ყოველ მეორე-მესამე აბზაცში ჩვენ გვხვდება მოძველებული რეგულაციები, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ეს სტუდენტებისთვის საფრთხეს შეიცავს. რადგან შესაძლებელია ზოგიერთმა სტუდენტმა ძველი რეგულაცია ისწავლოს, ამიტომ ფიქრობენ, რომ წიგნი, რომელიც რეკომენდირებულია არის ძველი, არსებობს ახალ-ახალი სტატიები, რომლებიც მათ მოიძიეს და შეიტანეს სილაბუსში. მისი თქმით დანარჩენ რეკომენდაციებს ნაწილობრივ მაინც ყველას ითვალისწინებენ, ახალი წიგნები მაგ., ლ. ალექსიძის 2015 წლის წიგნს ამატებენ, ასევე დაწესებულების წარმომადგენლის თანაავტორობითაც, რაც ტექნიკური ხარვეზის გამო არის გამორჩენილი.

დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიამ მადლობა გადაუხადა საბჭოს, თანამშრომლობისთვის და ექსპერტებს, რადგან მათი ვიზიტი იყო აკადემიური და თანამშრომლობითი და აღნიშშნული ჩანს კიდეც შეფასებაში. მან კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ექსპერტების მიერ სწორად დანახულ საუკეთესო პრაქტიკას უნივერსიტეტში, რომელსაც გამოკვეთილი ადგილი უჭირავს რეგიონში აფხაზეთის თემით მისი პოლიტიკური დატვირთვით და რაც მთავარია უნივესიტეტის როლი და მესამე მისია რეგიონის განვითარების ნაწილში, როდესაც საუბარი იყო სოციალურ პროექტზე. ეს უკვე განხორციელებული პროექტია, რომელიც საჯარო მმართველობის სტუდენტებმა უკვე განახორციელეს პანდემიის პერიოდში და ეს მათი უნივერსიტეტის აბსოლუტური მხარდაჭერით განხორციელდა. ძალიან დიდი მხარდამჭერი ღონისძიება, რომელიც თვითმმართველობასთან ერთად ჩატარდა მოწყვლადი ჯგუფეების მისამართით და ეს ძალიან საამაყო აქვთ მეოთხე კურსელებს, საამაყო იყო ასევე პრაქტიკა უნივერსიტეტისთვის პანდემიის პერიოდში. დაწესებულებამ განსაკუთრებული მადლობა მიიღო მინისტირს სახელით, მინისტრის მოადგილე, სპეციალურად მიბრძანდა უნივერსიტეტში, რადგან დაეფიქსირებინა ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესის მიღმა არცერთ სტუდენტი დარჩენილა, მათ შორის არც აფხაზეთიდან დევნილები, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა მოხდა და მადლობას უხდის საბჭოს ამის დანახვისა და შეფასებისთვის.

რაც შეეხება უშუალოდ ადმინისტრირების ნაწილს, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ჯერ კიდევ 2018 წელს, როდესაც გაიარეს ავტორიზაცია ევროპული სტანდარტების მიახლოებულ სტანდარტებთან, მათ ვებ-გვერდზე იყო ფორმა, სადაც პროგრამების შეფასების წესია განთავსებული, შესაბამისად რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხი უკვე არის. მისი თქმით 4 ესეთი კომპონენტი და კრიტერიუმი უნივერისტეტს ჯერ კიდევ 2018 წლეს ჰქონდა, უბრალოდ ეს მასალა არ მიეწოდა პროგრამების შეფასების ნაწილში ექსპერტს და მითითება მიიღეს ცენტრისგან, მთელი რიგი ტრენინგების დროს, რომ გამსხვილებული შედეგების მიხედვით ყოფილიყო პროგრამების შედეგების შეფასება და მათ მიერ წარმოდგენილი იყო უკვე პროგრამები შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა და იქაც არის პროცენტები გამოყვანილი. ამ დოკუმენტს არ გაუუქმებია წინამდებარე დოკუმენტი, ანუ შესაძლებელია მისი ვებ-გვერდზე ნახვა, რომ პროცენტული მიდგომით პროგრამების გაუმჯობესების მაჩვენებელი უნივერსიტეტს ჯერ კიდევ 2018 წელს ჰქონდა და ამით მუშაობს დღესაც, პარალელურად მას გააჩნია გამსხვილებული შედეგების შეფასების რუკა და კიდევ მესამე საუკეთესო პრაქტიკა, რომლის დანერგვა დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. აღნიშნული წარმოადგენს პერსონალის მიერ სილაბუსის გათვალისწინებული შედეგების შეფასებას, რომელიც ახლავს სილაბუსს და კურსის დამთავრების შემდეგ თვითონ პერსონალი აკეთებს გამოკითხვას და ის შედგები, რისთვისაც უნდა მიეღწია იქვე, გამოკითხვის შედეგად ფიქსირდება სტუდენტის გამოკითხვით. აღნიშნული ახალი მექანიზმი დაამატეს, რომლის დანერგვის პროცესში არიან და არ აქვთ სრულად, თუმცა მოიცვეს ფარმაციის პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სილაბუსებში დაიწყეს ამის შეტანა, ამიტომაც კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ დაწესებულებას ნამდვილად გააჩნია ამის მტკიცებულება. არსებობს 2018 წელს ატვირთული თვითშეფასების

კითხვარი ყველა დოკუმენტით, სადაც არსებობს ნამდვილად აკადემიური შეფასების ქულათა გადანაწილების პრინციპი ცალკეულ საგნებში თუ სტუდენტების საერთო პროცენტული რაოდნეობების განსაზღვრით პროგრამის შეფასების რეგულაცია. რომ არ ყოფილიყო ეს როკომენდაცია უკვე შესრულებული აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

თეონა ხუფენიამ აღნიშნა, რომ „დემოკრატია და მოქალაქეობა“ შესულია საუნივერსიტეტო საგანთა ნუსხაში, მიბმულია უნივერსიტეტის მესამე მისიაზე რეგიონის განვითარების ნაწილში, სადაც ღირებულებაზე საუბრობენ, ამგვარად ეს წინაპირობის გარეშე არსებული კურსია, რომლის გავლა საუნივერსიტეტო სივრცეში სავალდებულოა ყველასთვის და შესაბამისად ამ რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებენ.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც უცხო ენის სწავლების გაძლეირებაზე იყო, პასუხობს, რომ უცხო ენის გაძლიერების ნაწილში არგუმენტირებაში უწერიათ, რომ არჩევით კურსებში აქვთ 60 კრედიტი, რომელიც მათ სივრცეში მობილობის ხელშეწყობის მიზნით არსებობს, ამ სერვისის გასაძლიერებლად გამოათავისუფლეს 60 კრედიტის ნუსხა, მთლიანი ერთი წელი, რაც მობილობისთვის არის არაჩვეულებრივი თითოეული სტუდენტისთვის, რომელშიც აქვთ არჩევითი უცხო ენის კურსები. თუმცა არ ჰქონდათ დარგობრივი და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით დარგობრივი სასწავლო კურსიც დაამატეს და არჩევითი 60 კრედიტის ნუსხაში გაჩნდა დარგობრივი უცხო ენის სასაწავლო კურსი. რადგან აღნიშნული უკვე ჰქონდათ შესაბამისად რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განიმარტა, რომ მათ თვითმმართველი ორგანოებიდან ძირითადად ხალხი ჰყავთ მოწვეული და ძირითად/საშტატო პოზიციებზე საჯარო მმართველობის პროგრამის განხორციელების ნაწილში და ამას აძლიერებს სწორედ ის პრაქტიკული კომპონენტები, რომ ახლა სტაჟირებაზე არიან მეოთხე კურსელები საკრებულოში, თვითმმართველობაში და თვითმმართველობის სივრცეში. უფრო მეტიც, როდესაც საუბრობენ საჯარო მმართველობის პროგრამაზე მას აქვს ძალიან ძლიერი მხარეები ზუგდიდში თავისი პოლიტიკური დატვირთვით, თავისი თვითმმართველო ორგანოს დატვირთვით. საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც მუდმივად თანამშრომლობს მათთან, ამარაგებს და ანებივრებს მათ იმ სიახლეებითა და რეგულაციებით, რომლებიც ამ მიმართულებით საჯარო მმართველობის მოსამსახურეს სჭირდება, ეს ყველაფერი უნივერსიტეტს აქვს, ამიტომაც ეს პროგრამა, რომელიც უკვე რეაკრედიტაციის პროცესშია ბევრად განსხვავებულია უფრო ახალი რეგულაციებით არის დატვირთული და გაჯანსაღებული.

რაც შეეხება რესურსებს უკვე აღინიშნა, რომ მთავარი დაფინანასება 50.000 ლარი გამოყო თვითმმართველობამ ამ პროგრამის მხარდასაჭერად და ეს იყო ყველაზე დიდი მხარდაჭირა ამ წელს ამ პროგრამის გავითარებისთვის. ძალიან ბევრი სოციალური პროექტია მიბმული სწორედ ამ თემას და საჯარო მმართველობის ბაკალავრის სტუდენტებს დღეს აქვთ პროექტები წარდგენილი თვითმმართველობაში და დაფინანსებულია რამდენიმე პროექტი მათი მხრიდან. მისი თქმით ძლიერია პროგრამა რურდის პროექტიც, რომელიც საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მოპოვებული აქვს უნივერისტეტს, მოგეხსენებათ ამ პროექტში ჩართულია რეგიონული უნივერსიტეტები მათ შორის აღნიშნული დაწესებულებაც და რექტორი აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის ძლიერი მხარეა ეს პროექტი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური რესურსი ჩართულები არიან სამართლის ბრწყინვალე წარმომადგენლები, ტექნიკური ხარვეზები იყო და გათვალისწინებულია რეკომენდაციები და ეს გასწორებულია. საკონსულტაციო მომსახურეოების თვალსაზრისით, მათ დაწერეს პასუხები, მაგრამ პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, მათი სერვისების მოქნილობა. იქ, სადაც საუბარი იყო, რომ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურეობა გაძლიერდეს იმ თვალსაზრისით რომ,

სტუდენტებს ჰქონდათ წვდომა ელექტრონულ ბაზებთან, თორემ სხვა სერვისი ნამდვილად საუკეთესოდ იყო წარმოდგენილი, ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზეა ლაპარაკი და რექტორი ამბობს, რომ ეს პროცესი პანდემიამ უფრო დააჩქარა და უფრო სრულყოფილი გახადა, რადგან ბიბლიოთეკის გაციფრულება დაიწყეს, სრული ხელმისაწვდომობა აქვთ სტუდენტენს გაციფრულებულ ლიტერატურასთან. ამასთანავე ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა ისწავლეს და მეტი ინფორმულობა ჰქონდათ, ამ დროს ლიტერატურა უნდა ყოფილიყო მათთვის მიწოდებული, ესეც მიღწეულია და საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ, შესაძლოა ახლა ინტევიუირება, რომ გააკეთონ სტუდენტები დააფიქსირებენ ამ პროცესს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბელა მოსიამ განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში არცერთი სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის შემთხვევა, რომ დასკვნითი გამოცდა არ იყოს წერითი კომპონენტი და ეს იყო აკადემიურ წერასთან დაკავშირებით და რომ თორიული მასალითაა დასკვნით კომპონენტი წარმოდგენილი. როგორც ცნობილია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური წერის სილაბუსებში ორიენტაცია მართლწერის პრიციპებზეა და წარმოდგნილია ქართული უნივერსიტეტები, რომელებიც მოემსახურა აკადემიური წერის სილაბუსის აკადმიურ წერასთან აბსოლუტურ შესაბამისობაში მოყვანის საკითხს, რომლის ფარგლებში არამარტო დიანერგა ტურნიტინის ანუ პლაგიატის ამომცნობი პროგრამა, არამედ სასწავლო კურსის სილაბუსი აბსოლუტურად შეიცვალა და შეიტანეს საშინაო ნაშრომი, როგორც წერითი კომპონენტი, რომელიც ჯერ-ჯერობთ საპილოტედ არის. ამ ეტაპზე არის კვლევითი და მოიცავს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების უნარებისა და ცოდნის შეძენას სტუდენტებისთვის, საპილოტედ გააკეთეს და დასკვნითი გამოცდა ჩაატარეს ელექტრონულად, ეს იყო საპილოტე რეჟიმი, რომელმაც მოიცვა კომპიუტერთან, ყველა სტუდენტის ერთდროულად საგამოცდო პროცესში ჩართვა და ელოქტრონული ფორმით გამოცდის ჩატარება. ჩატარდა ელექტრონული გამოცდის შედეგების გამოკითხვა სტუდენტებისთვის და უკვე რეკომენდაციებიც დადებულია, პარალელურად გაამლიერეს საშინაო ნაშრომი, როგორც სამეცნიერო კომპონენტი, თითოეულ სტუდენტს აქვს ვალდებულება რეგიონში/რაიონში გარკვეული კვლევითი კომპონენტი შეარჩიოს, ამის შემდგომ შეიმუშავოს კითხვარი და განახორციელოს გამოკითხვები, დადოს დასკვნები, რეკომენდაციები, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური წერის ყველა პრინციპის დაცვით. განიხილება საკითხი, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა და სავალდებულო აუცილებელი კომპონენტი გახდეს საშინაო ნაშრომი.

რექტორის თქმით, როდესაც ლაპარაკობენ საჯარო მმართველობის ძლიერ მხარეებზე არ უნდა გამორჩეთ, რომ აღნიშნული პროგრამა სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული უნივერსიტეტში, დაფინანსებულია 50 ადგილი, წელს კონკურსი აქვთ გამოცხადებული და პირველადი განაცხადით უკვე 70 მსურველია. აქვთ უცხოენოვანი ლიტერატურა და მუდმივი კონტაქტი ამ ქსელთან და ცდილობენ, რომ ევროპული და შიდა, ქართული სინამდვილით საჯარო მმართველობის პროგრამა მუდმივად იყოს მოთხოვნადი და მოწოდების სიმაღლეზე.

ნინო ფარსადანიშვილმა დააზუსტა სილაბუსებთან დაკავშირებულ რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ უგულისხმიათ საკითხების გამოხშირვა, მათ თქვეს, რომ ერთ კონკრეტულ თემაში სალექციო საათში არ შეიძლება იქნას მოცული იმდენი საკითხი, რაც არის მითითებული იმ კონკრეტულ სილაბუსებში. საბჭოს წევრებმაც რომ გახსნან ეს სილაბუსები ნახავენ რეალურად რაში მდგომარეობს მათი რეკომენდაცია, აქედან გამომდინარე ან უნდა ჩაიშალოს ერთ ლექციაში მოცემული საკითხები 2 ლექციად ან ზოგადად დაემატოს სალექციო საათები კურსს, გამოხშირვაზე საუბარი არ არის. რექტორის განმარტებით ლექტორთან შეთანხმებით შესაძლებელია საათების რაოდენობის გაზრდა, რადგან მთავარია, რომ თემები იყოს ამომწურავად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ შეიძლება მან ვერ მოისმინა კარგად, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა, რომ არსებობს პროგრამის შეფასების მექანიზმი და თვითონ სპეციალისტი აფასებს სალექციო კურსის შემდეგ და სთხოვს დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტონ რას გულისხმობს, რომ თვითონ საგნის წამყვანი ლექტორი აფასებს საგანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის საპილოტე, დაწესებულების სივრცეში, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ცხრილი აგებულია რამდენ შედეგზე გადის, თითოეული შედეგი არის გამიჯნული, სტუდენტს რა მოლოდინები აქვს სასწავლო კურსისგან, ხელმძღვანელი/ლექტორი სასაწავლო კურსის დაწყებასთან ერთად უტარებს კითხვარს სტუდენტებს რა მოლოდინები აქვთ და სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ეს ცხრილი მიეწოდება სტუდენტს, რომ მონიშნოს თითოეული სწავლის შედეგი. შემდეგ ამას ხარისხის სამსახური აჯამებს რამდენად არის მიღწეული სწავლის შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის, ანუ ეს ემსახურება ხარისხის კულტურის დანერგვაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფას.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად ხარისხის კულტურა გულისხმობს, რომ რაც უფრო მეტი დაინტერესებული მხარე იქნება ამაში ჩართული, ასე რომ თუ ეს საპილოტე რეჟიმი გაამართლებს, შემდეგ მოისმენს დაწესებულების წარმომადგენლის რეკომენდაციებს ამის შესახებ.

სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის საკითხზე საბჭოს გადაწყვეტილება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) უმაღლესი დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტების საერთო პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების სამიზნე ნიშნულისა, რომელიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის;
ბ) კონკრეტული საგნის ფარგლებში აკადემიური შეფასების და ქულათა გადანაწილების სტატისტიკური ანალიზი ლექტორის სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით.

გ) კონკრეტულ სილაბუსებში (სამოხელეო სამართალი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი) - საკითხების ჩაშლა, ლექციაზე მიწოდებული მასალის რაოდენობის შემცირების მიზნებისათვის;
დ) კურსის საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა ფარგლებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა და კურსის პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდეს ქართული რეალობის, საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარე მოვლენების ამსახველი მასალით.
ე) სასურველია, რომ კურსის სამოხელეო სამართალი - სავალდებულო სასწავლო მასალებს დაემატოს ანა ფირცხალაშვილის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით მიღებული "პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის" შესაბამისად დამტკიცებული სახელმძღვანელო და შესაბამისი დანართები;
ვ) სასურველია, რომ კურსის შესავალი სამართალმცოდნეობაში - ძირითადი ლიტერატურის ნაწილში განსაკუთრებით იმ თემებთან დაკავშირებით, სადაც მითითება კეთდება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაზე, გამოყენებულ იქნას ასევე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიც მაგალითად: მაგ. პ. მალანჩუკი
- აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ან ლ. ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.
ზ) აკადემიური წერა - სასურველია, რომ აღნიშნული კურსის ფინალური შეფასება, წერითი გამოცდის ნაცვლად განხორციელდეს აკადემიური ნაშრომის კომპონენტით, კერძოდ ან რეფერატით ან სამეცნიერო სტატიით;
თ) უცხო ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მიზნებთან დაახლოება;
ი) გადაიხედოს დემოკრატიისა და მოქალაქეობის სასწავლო კურსის წინაპირობა და ასეთად განისაზღვროს კონსტიტუციური სამართალი და შესაბამისად მე-3 სემესტრის ნაცვლად აღნიშნული კურსი შეთავაზებულ იქნას მე-4 სემესტრში;
კ) საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო საჯარო სამართალი, და ევროკავშირის სამართლის წინაპირობად საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი ამის შესაბამისად სასურველია რომ შეიცვალოს საგნების სემესტრული განაწილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთ სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსების გადაწყობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მცირე ბიზნესის მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 26 ნოემბრის N213 გადაწყვეტილება,
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ზუგდიდი, 2100, ჯანაშას N14
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განმარტა, რომ გაცემულია 7 რეკომენდაცია და შესაბამისად მის მიერ შესწავლილი იქნა თითოეული ამ რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა დაწესებულების მიერ გაგზავნილი ანგარიშის შემოწმების სახით და წარადგინა საბჭოს წინაშე:

- სწავლის შედეგებში კონკრეტულად აისახოს ის, თუ როგორ შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები თავიანთი ცოდნის და პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას

სტრატეგიისა და ლიდერობის, ორგანიზაციების, გარე გარემოს (რომელშიც აღნიშნული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ) და მენეჯმენტის სფეროებში. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია თუ სად და როგორ შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირებას;

- სწავლების მეთოდები დაკავშირდეს სწავლის შედეგებთან - ვინაიდან აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტთან (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) მიმართებით, აღნიშნული რეკომენდაცია პირდაპირ არ შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს, თუმცა წარმოდგენილი მასალებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოდ თუ რა კავშირებია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ სწავლის მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის და ისინი ლოგიკურად იქნას მიჩნეული;
- გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა - აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით განახლებულია მთელ რიგ სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა, კერძოდ: მმართველობითი აღრიცხვა, მარკეტინგი მცირე ბიზნესში, საკორპორაციო სამართალი და ა.შ. განახლებული იქნა, როგორც ქართულენოვანი ისე ინგლისურენოვანი სასწავლო ლიტერატურა;
- ფინანსური აღრიცხვა დაემატოს მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობად - პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში დამატებულია „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსი, თუმცა „მმართველობითი აღრიცხვის“ სასწავლო კურს როგორც პროგრამიდან ჩანს წინაპირობა არ აქვს. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „მმართველობითი აღრიცხვის“ სასწავლო კურსი სავალდებულო საგანია, ხოლო წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურის არჩევითი საგანია, რაც წინაპირობის მითითების რეკომენდაციით განსაზღვრული პირობების შესრულებას გამორიცხავს. შესაბამისად, ფიქრობს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არასწორად არის გაგებული დაწესებულების მიერ;
- სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურაში „რიდერებთან“ ერთად შეთავაზებული იქნა თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა - ზოგიერთ სასწავლო კურსების სილაბუსებში, (მაგალითად „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, „რეკლამა მცირე ბიზნესში“) ჩამატებული იქნა ახალი თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სახელმძღვანელოების, ინტერნეტ წყაროების და მონოგრაფიების გარდა გამოყენებული იქნეს სამეცნიერო ხასიათის სტატიები და კვლევითი ნაშრომები - აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გადამოწმება შესაძლებელია მხოლოდ რეკომენდაციების გაცემის შემდგომ დაცული სამაგისტრო ნაშრომების შეფასებით;
- მოწესრიგდეს „ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსი, ასევე განახლდეს აღნიშნული სილაბუსით გათვალიწინებული ლიტერატურა - აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად დაწესებულებამ პროგრამის სტრუქტურაში განახორციელა ცვლილებები, კერძოდ პროგრამაში შემოთავაზებულია „თანამედროვე საკორპორაციო სამართალი“-ს სასწავლო კურსი, რომლის სილაბუსშიც გამოყენებულია დარგობრივი სავალდებულო ლიტერატურა;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს სწორი შეფასებებისთვის. მას სურს შეეხოს ორ თემას: (1) რაზეც მართლა გაუგებრობა წამოიშვა ჩანაწერშიც, რაც შეეხება „ფინანსური აღრიცხვისა“ და „მმართველობითი აღრიცხვის" თემას ამან გამოიწვია კითხვის

ნიშანი, მისი თქმით რეალობა არის ის, რომ საბაკალავრო პროგრამაში აქვთ საგანი „ფინანსური აღრიცხვა“ და მათი სტუდენტებისთვის მორგებულ სამაგისტრო პროგრამაში არის „მმართველობითი აღრიცხვა“ და რადგან „ფინანსური აღრიცხვა“ გავლილი აქვთ, ჩათვალეს, რომ ამ სტუდენტებისთვის „მმართველობითი აღრიცხვა“ წინაპირობა აღარ უნდა განესაზღვრათ, როდესაც მიიღეს რეკომენდაცია, რომ წინაპირობად აუცილებლად უნდა იყოს მონიშნული, რომ მმართველობითს ვერ გაივლის ფინანსურის გარეშე. გაითვალისწინეს რეკომენდაცია და გადამტკიცებულია პროგრამა, სადაც წერია, რომ თუ მათი სტუდენტია მას უკვე გავლილი აქვს „ფინანსური აღრიცხვა“ და წინაპირობა დაცულია, თუმცა თუ სტუდენტი მივიდა სხვა სპეციალობიდან/უნივერსიტეტის, სადაც მას ბაკალავრი არ აქვს გავლილი ეს საგანი ის ვალდებულია არჩევითიდან აირჩიოს „ფინანსური აღრიცხვა“, ეს ჩანაწერი ჩასწორდა და ეს ყველაფერი გაწერილია. (2) რაც შეეხება ლიტერატურას, ამ პერიოდმა დაწესებულების ბიბლიოთეკებთან წვდომის და ინგლისურენოვანი ლიტერატურით განახლებული ბაზისკენ ხელმისაწვდომობა გაუჩინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პანდემიის პერიოდში მიიღეს მსოფლიო საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელთან უფასო წვდომის შესაძლებლობა, რომელიც დღეში ლიმიტირებულად რამდენიმე სახელმძღვანელოს გადმოტვირთვის შესაძლებლობას იძლევა, ამ ეტაპზე დარეგისტრირებულია რამდენიმე აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით ახლაგაზრდა უცხოენოვანი თანამშრომელი, „სტაფი“ არის სპეციალურად შერჩეული, ამ რეგისტრაციით ყოველდღიური შესაძლებლობა გამოყენებულია და ასობით ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, მიმართულებების მიხედვით აქვთ გადაწერილი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ სახელმძღვანელოების აღრიცხვაზე აყვანა ბიბლიოთეკაში. მისი აზრით ასეთი შესაძლებლობა ბევრ ქართულ უნივერსიტეტს არ აქვს, თვლის, რომ ქართული სინამდვილეში კარგად გამოიყენეს ეს თვეები, დაახლოებით 6 თანამშრომელია სახელმძღვანელოების გადაწერაში ჩართული და ახლა უკვე აკადემიურ პერსონალს უზიარებენ ამ „ლინკებს“, ყველა რეგისტრირებულია და თავისთვის თითოეული სასწავლო კურსის გაძლიერების მიზნით იწერს კონკრეტულ ლიტერატურას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რა ფაქტებიც ჰქონდა მხოლოდ ამ ფაქტებზე დაყრდნობით გააკეთა ანგარიში. რეტორმა თეონა ხუფენიამ ხაზი გაუსვა, რომ იქ საუბარი იყო სწავლის მეთოდებზე. თავდაპირველად პროგრამის მეთოდები და შედეგები უკვე წარდგენილი იყო პროგრამაში და შემდეგ მოსთხოვეს სილაბუსებში ჩაშლილად გაკეთება და ტექნიკურად ასეც გააკეთეს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის ეს არ იყო მიწერილი და 2.2 ქვესტანდარტის მიხედვით იმსჯელა, რომელიც ეხება უშუალოდ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, ექსპერტი იცნობდა ამ დოკუმენტაციას და ეს ალბათ მათი ხარვეზია. ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაეყრდნო გადაწყვეტილებასა და რეკომენდაციებს, რომელიც იქნა გაცემული.

რექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი იყო აბსოლუტურად სქემატურად, გრაფიკი გაკეთებული იყო და სილაბუსებშიც იყო ჩაშლილი ეს ყველაფერი. ექპერტი ადასტურებს სილაბუსებში ჩაშლის ფაქტს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქრიამ განმარტა, რომ ამ ნაწილში კითხვები არ ექნება, იმდენად ძნელია როცა ანგარიშზეა საუბარი ექსპერტს გაუჭირდა სრული სურათის წარმოდგენა და საბჭოს წევრს მითუმეტეს. მას სურს გარკვეული რჩევები მისცეს დაწესებულებას. „ფინანსური აღრიცხვის“ წინაპირობად განსაზღვრას „მმართველობითი აღრიცხვის“ მიმართებაში, საბჭოს წევრისთვის გასაგებია, რომ დაწესებულებამ მხარი უნდა დაუჭიროს თავის პოზიციას და ამაში არ ედავება, მაგრამ ასეთი ლოგიკა „ჩვენი ბაკალავრია“ და ა.შ. არ იმუშავებს. აღნიშნული ლოგიკით მოცემული დაწესებულების ბაკალავრს შეიძლება მარკეტინგი ჰქონდეს გავლილი, ასევე ფილოლოგი ჩაირიცხოს, რადგან ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ არსებობს. საბჭოს წევრისთვის გასაგებია, რომ იმ ადამიანმა, რომელიც იყო ექსპერტი დაწერა „მმართველობით აღრიცხვასთან“ მიმართებაში, სხვას შესაძლებელია მარკეტინგზე ჩაეწერა, სხვას სტრატეგიულ მენეჯმენტზე და საერთდ გამოვა, რომ ამ უნივერსიტეტის ბაკალავრს არცერთი კურსის გავლა არ მოუწევს. საბჭოს წევრი პროგრამის წარმომადგენლებს აძლებს რჩევას, რომ ცოტა სხვანაირად დაალაგონ კურსები, უფრო ეფექტური რომ იყოს. ასევე გაითვალისწინონ, რომ პროგრამაზე შესაძლებელია მხარტვარიც მივიდეს, ვეტერინარიც, ფიზიკოსიც და ა.შ. ასევე ახსენებს დაწესებულებას, რომ 2018 წლის ამ პროგრამის აკრედიტაციას არ მისცა ხმა ალბათ პროგრამამ 2019 წელს თავიდან გაიარა აკრედიტაცია. საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ საზღვარგარეთ არის ანალოგიური პროგრამები, MBA მცირე ბიზნესში, თუმცა საქართველოში რა არის მცირე ბიზნესი ჯერ არავის გაურკვევია, მხოლოდ სამართლებირვად ხომ არ არის, გასაგებისა სამართლებრივი შეღავთების და საგადასახადო თვალსაზრისით რა არის, ისე, კი აღნიშნავს, რომ შეიძლება 2-3 კომპანიის გარდა ყველა მცირე ბიზნესი იყოს და შეახსენებს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ არ ედავება და რჩევის სახით ეუბნება.

რექტორმა შეკითხვით მიმართა გიორგი თურქას, თუ ახსოვდა მაშინ საბჭოზე უფრო კვალიფიკაციის ჩარჩოსთან ჰქონდათ პრობლემა ვიდრე უშუალოდ პროგრამასთან, საუბარი იყო იმაზე, რომ არ არსებობს მცირე ბიზნესის მართვის კვალიფიკაცია, დაწესებულებას კი ჩარჩო დოკუმეტი ეჭირა. საუბარია რეგიონზე, ამბობს, რომ ამერიკის მცირე ბიზნესს ზუგდიდის მცირე ბიზნეთან ვერ გააიგივებს, თუმცა მისთვის ჩარჩო დოკუმენტი არის სამოქმედო და ამოსავალი წერტილი.

გიორგი თურქიამ განმარტა, რომ არა ჩარჩო დოკუმენტსა და ფორმულირებაზე, არამედ ხარისხზე ესაუბრება და დაწესებულება ფორმალიზაციაზე დადის. ისევ მიმართავს პროგრამის წარმომადგენელს, რომ განმარტოს, რა არის მცირე ბიზნესი და რომელია მსხვილი ბიზნესი. ბატონი, გიორგი იხსენებს, რომ მაშინაც განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ამ სათაურით უვიწროვებს მოქმედების არეალს სტუდენტებს, საქართველოში ბიზნესების 99% მცირე ბიზნესია. ბატონი გიორგის აზრით კვალიფიკაციის დასახელება - მაგისტრი მცირე ბიზნესში ფქრობს, რომ საქართველოსთვის არეალს ავიწროვებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პირველ რიგში იმსჯელეს საკვალიფიკაციო ჩარჩოდან და რადგანაც რეგიონში განვითარების პრიორიტეტი არის მცირე ბიზნესის საწარმოები და დასაქმების ყველაზე დიდი ხელშემწყობი სფეროა მცირე ბიზნესი, საკვალიფიკაციო ჩარჩომაც მისცა საშუალება პროგრამის ნიშად აერჩიათ მცირე ბიზნესი, რისი დამსახურებითაც ბევრი ახალი საგანი გაჩნდა სასწავლო პროგრამაში. უფრო მეტი პრქტიკული კომპონენტი გაჩნდა, მაგისტრები გადიან პრაქტიკას საშუალო და მცირე ბიზნესის საწარმოებში, მცირე ბიზნესის სპეციფიკას ეცნობიან უკვე გამდიდრებული საგნებითა და შესაბამისი სილაბუსებით. რაც შეეხება „ფინანსური აღრიცხვის“ წინაპირობად ჩამოყალიბებას მათ საბჭოზევე განაცხადეს და მხარი დაუჭირეს ამ რეკომენდაციის განხორციელებას. სტუდენტები, რომლებიც ბაკალავრის დონეზე არ გადიან ფინანსურ აღრიცხვას სავალდებულო საგნად უნდა განესაზღვროთ „ფინანსური აღრიცხვა“.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პრობლემის გადაჭრაზე არ ედავება დაწესებულების წარმომადგენლებს, შესაძლებელია მარკეტინგი არ ჰქონდეს რომელიმე სტუდნეტს გავლილი ამ ლოგიკით, ამიტომ ურჩევს, რომ ააწყონ ისეთი სტრუქტურა, რომელშიც ეჭვი არ შეეპარებათ.

რექტორმა განმარტა, რომ აბსოლუტრად სწორად გაიგო საბჭოს წევრის ნათქვამი, რომ საქართველოში ძირითადად მცირე ბიზნესია და მათი მიზანი ძირითადად რეაკრედიტაციაა, რომ არსებული სტუდენტები გაუშვან ამ კვალიფიკაციით და ზოგადად მენეჯმენტის ქუდის ქვეშ გავა და ცალკე მცირე ბიზნესი აღარ იქნება, მისი აზრით უფრო მომგებიანიც იქნება მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

გიორგი თურქიამ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ რეკომენდაციები მხოლოდ ფორმალურად არ შეასრულონ და იზრუნონ ხარისხზე. პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა რჩევებისთვის.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ ამ პროგრამას შედარებით უკეთესად იცნობს, რადგან პროგრამის პირველ აკრედიტაციის პროცესში აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც ექსპერტს. ამ შემთხვევაში მას არ აქვს პრობლემა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროგრამის შინაარსზე და მის სტურქტურაზე აქვს გარკვეული შენიშვნა. მისი თქმით საბჭოს ჰქონდა 4 სილაბუსის გაცნობის შესაძლებლობა და აქედან 2 არ შეესაბამებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგ., „თანამდროვე ბიზნეს სტრატეგიები," „საკორპორაციო სამართალი" არ არის მცირე ბიზნესის კურსები, არც „საერთაშორისო მენეჯმენტი". საინტერესო იქნება როგორია „ინოვაციური მენეჯმენტის" და „HR მენეჯმენტის" სილაბუსები, რადგან მისი აზრით მცირე ბიზნესისკენ არ უნდა ყოფილიყო განვითარებული, დაწესებულებას კი ურჩევს, რომ მათ მიერ ნახსენებ კლასიფიკატორში მე-6 მუხლის მე-2 ნაწილს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რადგან ეს იყო მიზეზი 2018 წელს მიცემული ერთ-ერთი რეკომენდაციის, რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა და მართლა საგულისხმო რჩევებია, თუმცა მას სხვა საშუალება არ ჰქონდა, რაც იყო გაცემული რეკომენდაციები იმის ვერ გასცდებოდა, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული ეს რჩევები სრულიად თუ არა ნაწილი მაინც მოხვდებოდა დასკვნაში, მოცემულობამ რაზეც შეზღუდა მხოლოდ იმით შემოიფარგლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:17

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის საკითხზე საბჭოს გადაწყვეტილება და კენჭისყრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ "მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 და 2^{11} პუნქტების საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ტუფინაშვილი თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი